

345
1893 / 3

වැඩි ප්‍රසාද සංශෝධන වාස්තුවල

№ III

චාක්‍රවර්තීය ප්‍රසාද වාස්තුවල



[1893]

ქურნალის «ჯეჯილი»-სა

 გვ.
 წ.

I.	და და კესანე, ლექი-ზღაპარი, —თ.	რაზიებაშვილისა	3
II.	პატარა ნუცას სათხოეარი, მოთხრობა, —	ან. ერისთვისა	6
III.	ძერა და კრუხი, ხალხური ლექი.	14
IV.	დაჯილდოებული ფაქტია, ფრანგულით, — ან. თ.-წ—სა	15	
V.	შაშვი, ლექი—მერცხსადასი	22	
VI.	ფესვები, —გაუა-ფშაველასი	24	
VII.	მელა და მაყეალი, ეზობის იგავი, — მ. ფ—სა	26	
VIII.	ზღაპარი სამ კერტხას ქალისა	27	
IX.	ლრუბლები და მთეარე, ლექი—დუტუ მეგრელისა	32	
X.	ნანოს დელოფალა, მოთხრობა — ეპ. გაბაშვილისა	33	
XI.	ბავშიბის ღროის მოგონება (ცოფიანი ძაღლი) ი. ს—ძისა.	43	
XII.	რობერტ ფულტონი, დასასრული — ან. თ.-წ—სა	47	
XIII.	ბაბუცას ანგარიში, ფრანგულით, — ან. თ.-წ—სა	56	
XIV.	პატიოსანი და უპატიოსნები, იაკობ ძეიმონისძისა.	58	
XV.	ალალმართალი პასუხი	59	
XVI.	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ჩქარა გამოსა- თქმელი, ზმა, აკროსტიხი, ისტორიული აკროსტიხი, ამოცანა, შარადა და რებუსი.	60	

რედაქტია უმორჩილესათა სთხოებს, რომ ვისაც ფული არა აქვთ
შემოტანილი და სურთ ქურნალის მიღება წლის დამლევამდის აც-
ნობოს რედაქტიას 15 თიბათვემდის.

3 ისაც სურს წარსული წლების „ჯეჯილი“-ს ნომრების ყიდვა, შე-
უძლიანთ იყიდონ ქ. ტფილისში ახალ გაღებულ ქართულ წიგნების
საკითხავში (არწრუნისეულ ქარეასლის ეზოში) და ქ. ქუთაისში ძმათა
შერეთელთა წიგნის მაღაზიაში.

ჯევოლი

ს ა ყ მ ა ფ ვ ი ლ ი ნ ა ხ ა ტ ე გ ი ა ნ ი

ე უ რ ნ ა ლ ი

345 /
1893 / 3

იზარდე, მწვანე ჯევოლი,
დაპურდი, გახდი ყანაო!...

• ღ.

№ III

« ქ ე ლ ი წ ა ღ ი ე ე რ თ ხ ე ჭ ა »



ტ ფ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა წ ი ვ, გ ა მ ო მ ც. ქ ა რ თ. ა მ ხ ა ნ ა გ ა ბ ი ს ა Типографія Груз. Издат. Товарищество
1893

Допущено цензурою Тифлисъ, 29 Апрѣля 1893 года.



ი ა ღ ა გ ე ს ა ნ ე

(ზღაპარი)



რთის მთის პირად, დაბურულს ტყეში,
ამოსულიყო ლამაზი ია
და ტკბილს გაზაფხულს შეენება უხვი
ტურფა სტუმარისთვის ზედ დაეფრქვენა.
მისი საამო,
სეედის მალამო,
სუნელლოვნება გულს აამებდა
და ნელ ნიავთან
აქ მომბერავთან,
ჰარმონითა შეზავდებადა.
ტკბილნი მგოსანნი,
წერილნი ფროთოსანნი,
იას შესტრფოდენ და უგალობდენ.
ცქრიალა წყარო,
ბროლთა სალარო,
მარგალიტის ცურებს ზედ ასხურებდა.
ცა გაზაფხულის,
ცისკარი დილის
მგოსანთა მღერით სალაშს უძლენიდენ,
და მზის სხივები,
მაცხოველები,
გაფურჩენილს მკერდში ეკონებოდენ.
ნამი წეიმისა
ეით მეგობრისა
ცრემლი დალერილი ძმისა საშეელად
დაეცემდა,
მოულხინებდა,
შაექმნებოდა საკეირველ-მქმნელად.

მის ახლო, იქვე, თავმოხრით მორცხვი
 დღისა სინათლეს ამოეზიდა
 პაწაწა, ნაზი, შშეიდი კესანე
 და როგორც ობოლს ყმაწეილსა ზრდიდა.
 ცის-ფერი კაბით სადად მორთული
 ის საეშოდ ყელს იღერებდა;

იას ტურფასა,
 ტანად სუფთასა,
 მუდამ სურეილით თვალს ადევნებდა.
 კესანეს სურდა,
 გულით უნდოდა
 იას როგორმე გადაპევევიყო
 და მუდამ მასთან,
 როგორც და მმასთან
 სიკედილის დღემდის დარჩენილიყო,
 რომ ერთად ჭირი,
 სუსტთათეის ხშირი,
 გაეყოთ გულით და მოქმედებით,
 ერთად ეტირათ,
 ერთად ელხინათ,
 ერთადვე უფლის მათ მეოხებით
 მტერთან ებრძოლათ...
 ქარმა დაჭქროლა
 მათი ოცნება მევობრობაზე,
 გამოიტაცა, ყელმოლერებულს
 იას შეახო სოსანს ფურცლებზე.

—
 ტურფამ იამა
 იგრძნო, იამა
 კესანეს ყველა ღელვა გულისა,
 თავი დახარა,
 სხვებსაც ახარა,
 ცრემლი დალვარა სიხარულისა.

—
 და შესაყრელად იამ კესანეს
 მმობისა ხელი მსწრაფლ გაუწოდა,

სამარადისოდ შესაერთებლად
 თავისთან გრძნობით მას მოუწოდა.
 მაგრამ აქავე
 მათი მოავე
 დაღუმებული ჩუმად ისმენდა,
 შურით და გესლით,
 სიავით, კვნესით
 გულზედ მიწოლილს შხამს ძლიერს ითმენდა.
 გველმა რა ნახა ია, კესანე
 სულით და გულით ერთად მფშეინავნი
 ერთურთის ცქერით ვერა ძლებოდენ,
 შეერთებისა დიდად მსურველნი,
 ვერ მოითმინა,
 დაისისინა
 და იასა და კესანეს შორის
 გაწვა მიწაზედ,
 როგორც სამზღვარზედ
 გასაცალკებლად ორის მოყვარის.

დღემდისა იქ წევს ის გველი,
 მარჯვე შემთხვევის მცდელია,
 მევობრებს ერთად არ უშევებს,
 ერთმანეთს მისცენ ხელია.
 როცა კესანე და ია
 მოისურვებენ შეყრასა,
 გველი მაშინვე პირს აღებს,
 ფიქრობს ორივეს შეჭმასა!

თ. რაზიკაშვილი

მაცხრა ნუსას სათხმოვარი

II



ერ წარმოიდგინთ, რა კმაყოფილი ვარ დღე-
განდელი დღით, ჩემო ჰაწია ძვირფასო ტო-
ლებო!... სულ მინდა ვიცინო, ვიხტუნო და
ვიღიღინო; ოხ, რა ბედნიერი ვარ!... რა
ბედნიერი... მაგრამ, დაწწულებლის ღმერთმა,
ვისაც კი შევხედავ, თითქოს ჩემს ჯაბრზედ
ეველას ცხვირი დაუშვია და დაღონებული
დადის... ცოტა არ იყოს, ეს არ უხდება ჩემს დღე-
განდელ ნეტარებას და მინდა კი, რომ სრული ბედნიერი
ვიუო... გენაცებათ, გამხიარულდით, ჰატარა ნუსას უნდა
სიამოვნება ივემოს, მაგრამ არ შეუძლია, ვიდრე თავის
გარშემო ვისმე ხედავს დაღონებულს... გმეურებათ თუ არა?!
თქვენი ჭირიმეთ, გამხიარულდით; რა არის, ეს თხოვნა აძი-
სრულეთ. განა ჩემი ბრალია, რომ გული მერჩის, თუკი
მინდა სიამოვნება!..

«ჭო, ჭო, ბედნიერი ვარ... აი, რეთი: ჯერ ეს ერთი,
დღეს ჩემი საფეხურელი მაისი დადგა, რა კარგი სამო,
ლამაზი თვეა!.. ღმერთმანი, რომ შეიძლებოდეს გადავეხვერ-
დი და მაგრად ჩაუკოცნიდი იმას მშვენიერს თვალებსა...
ოდონდაც, რამდენს სიკეთეს დასთესს ხოლმე ჩვენზედ, რა
მოწეალეა!.. განა დამავიწედება წარსული ზამთარი, რა

წევლებით გაფატარეთ მე და დედაჩემა... კიწაწი შემა არა
 გვქონდა, კაცი არავინ არის ჩვენს სახლში და, აბა, ვინ
 ძოგვიტანდა!.. მაღლის გულისათვის სან ერთი მეზობელი
 შეგვიუვანდა თავისთან და გაგვათბობდა, სან მეორე... და
 მე კი არსადა ვდგებოდით და ვკანკალებდით გაეინულ ქას-
 ში. ლოგინიც არ გვივარგოდა. ერთი ზარია დაგლეჯილი
 ლეიიბი და საბანი ძლივასა გვივარავდა; მაგრამ ჩვენი
 გათბობა კი არ შეეძლოთ. ძოვუჭერდი კბილებს ერთმა-
 ნეთსა, გალურჯებულ, გაეინულ სელს ჩავუდებდი ხოლმე
 დედაჩემს უბეში და ისე მივეკროდი მაგრა... შევეხებოდი
 თუარა მშობელ გულს, მაშინვე რაღაც სითბო დამივლი-
 და მთელს სხეულში და ჩამებინებოდა...

«ოხ, ოა ტებილია დედის გული, ოა ტებილია!.. ვენა-
 ცვალე იმას... როგორც იუთ გაფატარეთ ზამთარი, აპრილ-
 შა გაათბო ჩვენი გაეინული მვლები და მაისშა ხომ სიხა-
 რული ძოგვიტანა; კარში გამოვეყიო, დედაჩემი ჩვეულებუ-
 სემებრ გაიშალა წელში, დაიწეო მუშაობა, მეც რაც კი
 შემიძლია სელს ვატან... ბარე თორმეტი ბატი გავზარდე-
 ისეთი თეთრები არიან, როგორც ბაბბის ქულა, დიდორ-
 ნები . როდესაც დამინახავენ, ბაჯიბაჯით წამოვლენ, გახა-
 რებულები შემოძეხვევიან გარსა და შემომუიუინებენ.. იციან
 რო მათოვის სიკეთე მინდა და ვუკარვარ.. არც მე მშუ-
 ლან ისინი, ერთ ერთი რო მოძიკლას ვინმებ დედა არ
 მოძიკვდება დავჯდები და მთელი დღე ვიტირებ, სულ თვა-
 ლებს დავითხრი. ამაგი ძალიან საეგარელი ეოფილა...
 ჰურის გამოცხოლაშიაცა ვშველი დედაჩემს, გუნდებს მიგუ-
 ზიდავ ხოლმე თონესთან, ერთი ჰატარა წალდუნა, მაქვს იმი-

თი ფიჩხსაც დავუჭრი.. რა ვქნა, ბარე ბევრი არა შემიძლია რა, მაგრამ ცოტათი მაინც ვეფარები საქმეში...

როდის გათენდება ისეთი ღლე, რომ დედაჩემბა გაიხაროს და დაისვენოს!.. მეტის მეტი ჯაფისაგან ავადმყოფოს დაიწეო ამ ბოლოს დოოს, ან რა ჰქნას, რომ არ იმუშავოს!.. ხომ შიშვლები და მშივრები დავიხოცენით!.. ღლეს სწორედ ჩემი დაბადების ღლეა.. დედამ მითხრა, თოთხმეტის წლისა შესრულდიო. ოხ, როდის იქნება, ერთი სამად გადაუხადო მმობელს ამავი. «შენ რომ არა მეავდე, წაგალ გადავარდები სადმეო», ხშირად მეუბნება, «შენა ხარ ჩემი სიცოცხლეო»... შენ გენაცეალე, ჩემო დედილო, შენა, რომ ავრე გიუგარვარ!.. ოდონდ კი შენ კარგადა მუვანდე და თავს განაცვალებ... ჩემმა სიკვდილმა რომ გაჭირვებიდან დაგიხსნას და უებარი წამალი მოგიტანოს, იესოს გეფიცები, თავს არ დავზოგავ. ვენაცვალე იესოსა. რა გულეკეთილი უოფილა. შარშან ღედა ჩემი მალიან ავად გამიხდა, ცოტა გაწევდა კინაღამ ხელიდან არ გამომეცალა... ჯავრისაგან მე თვითონ არ ვიცოდი რა მომდიოდა, თავის მოკვლა დავაპირე. ოდონდაც, ღმერთსა ვთხოვ, ერთს დღესაც ნუ მაცოცხლებს, თუ მმობელი არ მეუღლება... გული გამოუთქმელად მეტანჯებოდა, რომ მისი შველა ვერ შეძემლო. მეხობლები მალიან გვჩატოონობდენ, თითო მათგანი არ მოშორებია ღედას, სანამ სრულებით კარგად არ გახდა. რაღაც წამლები ასეეს, თავიანთს ქვემაგებში ჩააწვინეს და სულ ოფლი ადინეს.. მე რაღას ვაკეთებდი იმ დოოს!.. დახოქილი ვიუგავი და გულსელ დაკრეფილი შევთხოვდი იესოს, რომ ნუცასათვის გადმოეხედნა და ეჩუქა-

ბინა საუკარელი მშობელი დედა. მალის მაღათი თუ შე მაჭმევდენ პურს, ოორებ არც კი მახსოვდა.. გუნებას გადა ვიწევბული ჭირნდა ეოველისფერი.. ღმერთო, განა შემი ძლიან წარმოვსთქვა ის ტანჯვა, რაც მაშინ გამოვიარე?! მიმშილმა, სიმიშვლებ და მწარე ნაღველმა დაამაბუნა ჩემი ნორჩი ბუნება და კინაღამ თანაც გადამიტანა...

II

ერთს ღამეს, როდესაც შეწუხებული დედაჩემი სიკვ დილს ებრძოდა, მე თავით ვუჯეჭი ჩეეულებისამებრ და მალ-მალ წეალს ვაწვდიდი, მაგრამ ბოლოს სისუსტემა მმღია, თავი ვეღარ შევიძაგრე, მივწეჭი იქვე და ჩამემინა. სიზმარ-შიაც ვნახე ავადმეოფი დედა, რომლის გულისთვისაც ხელ გაპერობილი შევღადადებდი უფალსა. აგერა, ჩვენმა ქოსის კარებმა გაიჭრიალა, შემოვიდა ვიღაც მაღალი კაცი, რო მელსაც გვერდიდან სუფსუფით გადმოსდიოდა სისხლი, ფეხებამდის გრძელი წამოსასხმელი ესხა, წელამდის სცემ-და გაშლილი შავი თბა. თავისი მშვენიერი სახე ჩემსკენ მოემართა, ღვთიური თვალები თითქოს გულში მწვდებო-დენ და მიღვიძებდენ რაღაც იმედს.. აგერა მოვიდა, დად გა ჩემ წინ და პირჯვარი გადამწერა; მაგრამ ხმა კი არ ამოუღია.. მე მივხვდი, რომ ეს იყო იქსო, რომელიც არა ერთხელ მინახავს საუდარში და რომლისათვისაც არა ერთხელ შემიჩივლია ცრემლების ღვრით ჩემი ჭირი და ვარამი.. დავემსე მის წინ და რამდენსამე ხანს ისე გაწა-მებული ვიუავი... ბოლოს ავიღე თავი და შევხედე იქსოს, რომელიც უძრავად განაგრძობდა დგომას...

— იქნო, შევმახე მე განწირულებით შენ ლამაზ თვალებს ვენაცვალე, მაჩუქე ღედა, ნუ წაძართმევ, მიშველე, ხომიცი, ამის მეტი ჸატრონი არავინ გამაჩნია, ეს რომ წამართვა, მე ვინდა მანუგემოს?.. შენი მუხლების ჭირიმე, იქნო, მაჩუქე! შევვეღრე და მუხლზე მოვენვი.

— შესდექი, ბავშვო!.. დაილაპარაკა მან. ამ ხმაში იხაუ ტებოდა ბრძანება შერეული ალერსთან ერთად...

მაშინათვე ჩამოვეხსენი იმის მუხლებს და სელ გა ჟურობილი შევაცეცე მავედრებელი თვალები სახეში.. იმან გაიღიმა, ალერსით დამისვა თავზედ სელი და წენარად წარმოსთქა:

— ვხედავ, ბავშვო, რარიგად იტანჯები მმობლისათვის, ბარაქალა!.. მაგისი სამაგიერო მიღებე ჩემგან... მთხოვე, რაც გინდოდეს, იმისი ამსრულებელი ვარ...

— დედა მაჩუქე, შევმახე კიდევ და დაუკოცნე სელები.

— მარტო ეგ?.. ნუთუ არ გინდა, რომ სიღარიბე თავიდან ჩამოვეხსნას, რატომ მაგაზედ კი არა მთხოვ?!

— არა, არა, შენი ჭირიმე, ბევრის თხოვნით არ შეგაწუ სებ.. ეგ შენი ნებაა, თუნდა ეს მონძებიც არა მქონდეს, ოდინდ კი დედა მომირჩებოდეს.. მმობელთან უძღიდოები ვარ, უბედიერესი!.. დაუინებით გავიძახოდი და თანაც მხურვალედ კუკოცნიდი სელებს.

იქნოს თვალებში ცრემლი მოერია, დაიხარა და იმანაც მაკოფა. მერე ამოიღო ბზის ერთი დიდი ტოტი და მომცა.

— აჲა, შკილო, ჩემი საჩუქარი, მე ვიქმნები შენი მფარველი.. თავის დოოზედ მოგიკითხავ.. იქ ჩემთან იპოვნი

ნერარება.. შენ გვარ ადამიანს არ შეუძლია აქ ბეღნიურად იუვეს, დედა მოგირჩება, მაგრამ მაინც ბევრს ტანჯვას გამოიგდი. ოოდესაც კაცი თავის სიცოცხლეს, გულს სწვასა სწირავს, მაშინ ზეცაში მოიპოვებს ბეღნიერებას.

იქსომ ერთი კიდევ გადამწერა პირჯვარი და წენარად გასწია კარებისაკენ. დამენანა მისი მოშორება, მაღალიან დაბენანა და ტირილი დავიწევ.. ამ დროს შემომექმდა ნაცუნობი კვესა, საჩქაროდ თვალები ლა დამრჩა დედახემს ოფლი სდიოდა, მოუსვენრად იუო და მალმალ კვესოდა. ჩვენი მეზობელი ქალი გვერდზე უჯდა..

ოხ, სიზმარი კოფილა! რად გამომეფვიძა, რად? - გავი ფიქრე ჩემს გულში და წამოვჯექი დადონებული.. იქსოს სიტუაციები ასრულდენ; დედახემი მომირჩა, მაგრამ სიღარიბებში მეტის მეტად შეიგაწუხა და უკიდურეს მდგრადი რეაბილიტაცია ჩავიაკდო.

III

თუმცა ჩემი ცხოვრება ასეთია, მაგრამ დღეს მაინც ბეღნიერი ვარ.. კიდევ კიმეორებ, ეს სულ მაისის ბრალია. ოოცა ეს თვე დადგება სოლმე, გული სიამოვნებით დამიწებს მეგრას, რადგანაც ვიცი რა აჭრელებულ მვირფას სუფრას მიმზადებ'. არა ჰგავს ზამთარს ოომენვისგან დახეთქილი ფეხები ხმელ დედამიწაზედ დამადგმენოს და კბილი კბილზედ მაცემინოს. სულაც არა, ფეხქვეშ მიმღის მწვანე სავერდს და მაზედ რბილად მიკრივარ.. აი, მეც დღეს მაისსაცით მორთული ვარ.. ფეხებზედ მაცვია ახალი კაწვაწი ბათინკები, ეს წელულები ოოცა კი დავდივარ სულ მღერიან.. მეც განგებ, მაგრად

ვადგამ ფეხებს, დე, მთელმა ხალხმა, ქვეყანამ გაიგოს, რომ ნუცა ეღირსა ახალს ბათინკებს.. ახლა კაბა ნახეთ, კაბა ორუორია!.. ლამაზი წითელი შალისა, გარს ორ ჰირად არმია უვლია, ისეთი ვარ, დედა არ მომიკვდება, რომ მკონი, ბატონიანთ ქალიც არ იუოს ასე გამოკანკლული. ეს ტანისამოსი დღეს მოულოდნელად მივიღე დილა ადრიან, როცა ჯერ კიდევ მემინა. აი თვალები ავახილე, ჩემ წინა დგას დედა, რომელსაც სახე სიხარულით უღიმის, ხელში უჭირავს ესწინ, რომლებმაც ეხლა გამოწმენილი გახლავარ.

— ადე, შვილო, ნუციკო, ღმერთმა მრავალი დღეგანუდელი დღე გაგითხნოს, ბეჭინირი ქალი გამოგიუვანოს, შენი დაბადების დღეა, ადე, შვილო, აგრა ჩაიცვი ესწინ და შენი ტოლი გოგოები დაჭაბტიქე.

ამ სიტყვებით ჩამკოცნა დედა ჩემმა, აბა ქვემაგებში რაღა დაძალებდა, წამოვარდი სახქაროდ გახსრებულიდა შემოვეხვიე ელზე ჩემს საეგბრელს შეობელს.

— დედა, დედა, ვინ მოგცა ებენი?! ვინა, ტენაცვალე?.. იქნება იქსომ გამომიგზავნა, ჭა?.. შენა, შენთვის კი არა არის რა?.. აბა, მაჩვენე?.. აღტაცებით ვეკითხებოდი.

— ჭო, შვილო, იმისი გამოგზავნილია, აბა, მაშ ვინ მოგვცემდა.

— მოდი, დედა, არ დავატიქებ გოგოებსა.. წამოვიძას ხე ცოტა ფიქრს შემდეგ.

— რატომ?

— იქ რავიცი...

— მაინც?!

— რომ არა გვაქვს რა, აბა, რა უნდა ვაჭამოო? დავუმატე დაფონებულმა. დედაჩემმა გაიღიმა და მითხრა:

—ღმერთია მოწეალე, წადი, კიდობანი გააღე, იქ ერთი ბოთლი ღვინოა, მოხარმული ცივი ღედალი, კოჭით მაწონი და ქადები. გეეოვათ კიდეც. აქ ჩემი აღტაცება გაორკეცდა.—წადი, გაიხარე, ითამაშე, გენაცვალოს ღედა.. დაუმატა მან და გაბრუნდა.

თუმცა თვითონ არ მეუბნება საიდან იშოვნა ჟველა ეს, მაგრამ მე კი მიმხვდარი ვარ... უთუოდ პურის ცხობაში აღებული ფული შეაგროვა და დღეს იმითი გამაბედნიერა.. ღმერთო, შენ მადლს ნუ მომაკლებ! ამ საათში მივდივარ, გესმით, წვეულება უნდა გავმართო, ბუზიკას ავაწიგწიკებ საუგარდნად და მეც ისე დავტრიალდები, როგორც ჯარა!.. ასეთი იშვიათი რომ არ იქვეს ამისთანა დღე ჩემთვისა, ახლა ხომ დიდი ბედნიერიც არ ვიქნებოდი.

ანასტასია ერისთავი.



მერა და კრუხი

(ხალხური ლექსი თ. რაზიკაშვილსაგან ჩაწერილი)



ერამ წაიღო წიწილა,
 კრუხმა ვერ უეო ჩხუბია.
 თუ მე ეს შენ შეგარჩინე.
 ჩემი სილამქრე ცუდია.
 ოავს დაიხურა ჩაჩანი,
 ვით რომ ბოსოსი ქუდია,
 წელს შემოირტყა სანჯალი,
 ხელში აიღო შუბია.
 ზევიდან მერა მოვიდა,
 მირს გაიძართა ჩხუბია.
 კრუხმა სცა ხმალი ფრანგული,
 წავიდა სისხლის გუბია.
 იხმარეს შუბი და ფარი,
 ლახტების ტეაცა ტეუცია.
 ბერამ სთქვა: წავხდი სილადით,
 თვალი შემექნა ბრუდია;
 მთას დამრჩენ წვრილი ობლები,
 ინით ნაღები ბუდია.
 ისინი დაიზდებიან,
 იმათი კანჭიც ბრუდია!

დაჭილდოებული 『ფაქტი』




აქიზა“ სწორედ ღირსი იყო ამ სახელისა, რადგან ამის-
თანა სუფთა და კარგი ჯიშის ღორი არა თუ არც ერთ
სოფელში არ მოიპოვებოდა, ახლო-მახლო მაზრებშიაც
იშვიათი რამ იყო. დიდი, სუქანი, თეთრად გადაპენტილი,
ყველასთვის თითოთ საჩენებელი გამზღარიყო თავის სო-
ფელში. ყველა იმის ქება-დიდებაში იყო, ისე რომ ფაქტის საქმე გა-
უჭირება, თავი მოაპეზრეს ამოდენა ქებით.

ერთ დილით მისმა პატრონმა, ბატონმა კარლოსმა, განიძრახა
თავის ღორის, წაყვანა ერთ დაბა სოფელში, სადაც სადღესასწაუ-
ლოდ გამართული იყო ყოველ ნაირი საქონლის გამოფენა. მოჰყევა
თავის ფაქტის გასუფთავებას და ფხევას ისე, რომ საბრალო ღორს
თავი აწყევლინა. ბატონ კარლოს თავში ერთი აზრი უტრიალებდა
და, აბა, ფაქტის რას მიუხვდებოდა.

ბაზარში მთელი დღე ფაქტის სინჯავდენ, აქებდენ, ალტაცება-
ში მოდიოდენ, წამ-და უწუმ ხელებს უსეამდენ, ისე რომ ღორი თა-
ვისებურად ნებიერად ვეღარ
გაწოლილიყო და მოუთმენლად
მოელოდა დაღამებას, მობეზრდა
ამოღნი ღრიან ცელი, ბოლოს
ეს ამბავი იმითი გათავდა, რომ
ფაქტის ჩამოჰკიდეს ცისფერ
ლენტზედ მედალი. *)

ეს ჯილდო ფაქტის თვალში
არ მოუვიდა, ერთ კალათა
მევე ვაშლს ათას ამ მედალს
ამჯობინებდა, მაგრამ კარლოსი
და მისი სახლობა ალტაცებაში იყო. მთელი გზა სიხარულით აღარ
იცოდენ რა ექნათ. ყველა გამვლელ-გამომვლელს ახარებდენ.



*) შემოლებულია სხვა ქვეყნებში და ამ ბოლოს დროს ჩევნშიაცა, რომ გა-
მოფხვას გაართავენ და ვისაც უფრო კაი ჯიშის საქონელი ეყოლება იმას ჯი-
ლდოს აძლევენ.

— იცით, რომ ჩეენი ლორი ყველაზედ კარგი გამოდგა და ჯი-ლდო მიიღო.

მართალია, ფაქიზამ გამოფენაზე ყველა ლორებს აჯობა, მაგრამ ამითი სულაც არ გამოიდო თავი და ისევ ისე მორცხვი დაბრუნდა შინ.

ფაქიზა სალორეში არა ჰყავდათ. პატრონშა ამას ცალკე ბინა გაუჩინა. ბელელთან თავლა ჰქონდათ ცხენისათვის და იქ დაბინავეს თავიანთი ფაქიზა. თავლა იყო მშრალი, სუფთა და ფართო. ყველამ, ვინც იცოდა ფაქიზას ლირსება, ამბობდა, რომ ფაქიზა სწორედ ლირსია ამისთანა კარგი სადგომისა. თითონ ის კი გაიყურებოდა სიხარბით მინდერისკენ, სადაც მაღალი და ხშირი ბალახი ბლომათ ეცულებოდა...

კარლოსმა დიდის ამბით მოაყენა თავისი ურემი ბელელთან, უფრო დიდი ამბით გადმოსვეს ფაქიზა და შეიყვანეს თავის სადგომ-ში. კარი ჯერ ლია იყო. იქიდან მოჩანდა შეენიერი, მობიბინე მწვანე ბალახი. შეხედა ლორმა ამ მინდორს ჯერ ერთი თვალით, მერე მეორე თვალიც დააშტერა. მისი ჭკუით იქ უფრო კარგი უნდა ყოფილიყო, ჰაერი ბლომათ და ადგილიც ფართო იყო. ფაქიზას თა-ვისუფლების სალერლელი აეშალა და ერთ წამს თოკი გაწყვიტა, ხელიდან დაუსხლტა პატრონს და გაიქცა მინდერისკენ.

გარბის ჩეენი ფაქიზა და უკანაც არ იხედება, კაი მანძილი რომ გაირბინა, შედგა, ამოარჩია მაღალი, ხშირი და რბილი ბალა-ხი და ისე გაწვა, რომ კაცი თვალს ეერ მოჰკრაედა.

— ღმერთო, ახლა რაღა გვეშველება! შეჰყეირა კარლოსის ცოლ-შა და ხელები ალაპყრა ზეცისკენ.

— რა უნდა გვეშველოს! არაფერი. უპასუხა ქმარმა.



ღა ჯილდო ებული ფაქიზა


— შინ როგორ შემოვიყეანოთ?

— როცა მოინდომებს, თითონ შემოვა, არა უშავს რა, ჭკუიანი ლორია, არ დაიკარგება.

— მოდი ხელში აეიყვანოთ და ისე შემოვიყეანოთ, განა არ იქნება?

— რას აშჩობ, დედაკაცო, იმის აყვანას როგორ შევიძლებთ! განა იქნება კაცი მაგ ლონის პატრონი. ისეთი მძიმეა, რომ ზარბაზნის დაძრა უფრო ადვილი იქნება.

ამ დროს ამათ ეზოში შემოვიდა ვილაცა. ცოლა-ქმარი დააცქრდა და იცნეს ბაზარში ნახული კაცი, რომელსაც თან დაპყარდა დათვი.



ყმაწვილებმა დასცეს კიჟინა.

— მამავ, მამავ, კაცმა მოიყვანა მოთამაშე დათვი. — და თან შიშით დედის კაბის უკან იმალებოდენ.

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, ამაღამ თავი შეეაფარო თქვენთან მე და ჩემმა დათვმა.

— თქვენთვის კი ადვილია ბინის შოენა, მავრამ დათვს რაღა ეუყო, სად დავაბინავო, არ ვიცი!

— მაგ საშინელ დათვს სახლში ნუ შემოუშევებთ, ყვიროდენ ბაეშვები.

— ნუ გეშინიათ, ყმაწვილებო, ჩემი დათვი ხელზედ შეჩვეული მყავს, კაციეთ გაწერონილია, არავის არაფერს დაუშავებს; ერთი პატარა კუთხე საღმე ამას ეყოფა.

— თუ კი ჩეენ ფაქიზას მოსწონს ცას ქვეშ ძილი, მოღი იმისი ბინა ამაღამ დათვეს დაუთმოთ, სოქეა კარლოსის უფროსმა შეიღლმა.

— მართალს ამბობ, შეიღლო, საბრალო დათვი დაღალულია მთელი დღე ბაზარში ცეკვითა. წამოიყენე ფაქიზას სადგომში, იქ ფართო ადგილია და კარგათ დაგაბინავებთ.

დათვი წაიყენეს ფაქიზას სადგომში და თათონ მოუსხდენ ვახშამს. დათვის პატრონი აქებდა თავის დათვეს და დაპირდა ყმაწეილებს, რომ ხვალ ვათამაშებ დათვესაო. კარლოსიც მთელი ვახშამი თავის ფაქიზას ქებაში იყო და უამბებდა, ყველა ღორებს რომ ამისი ფაქიზა ამჯობინეს და დააჯილდოეს და ყველას რომ იმაზედ თვალი დარჩათ.

კარლოსს ჩეეულებათ არა ჰქონდა თავლის კლიტით დაკეტა, მარტო ურდეულს გაუყრიდა. იმ ღამეს კი კარი გადარაზა და კლიტე დაადგა, რადგან შეეშინდა დათვი ღამე არ გამოვიდეს და საქონელი არ გააფუჭოს.

როდესაც დათვი მარტო დარჩა, დაიწყო თავისი სადგომის დათვალიერება, ჯერ მივიღა კარებთან, დაკეტილი დაუხედა; მერე ყველა კუთხეები დაათვალიერა. ერთ მხარეს სანათური იყო, მივიღა ახლოს, მაგრამ ვერ მისწედა, ან რას ნახავდა ღამეში. ბოლოს ყველას ძილი ამჯობინა. დაღალული იყო და მძიმედ ჩაიძინა, მაგრამ მაინც ძილში გაიგო, რომ ვიღასაც უნდოდა კარის გაღება და შემოესმა:

- გრიგოლ, კარებს კლიტე ადევს.
- რა ვუყოთ, ფანჯრიდან გადავიდეთ, უპასუხა მეორემ.

— კარგი იქნება, სოქეა მესამემ, ოღონდ ჩუმად, ღორმა არ დაიღრუტუნოს, თორემ დაეიღუპებით.

ამ სამ კაცს ბაზარში პირობა შეეკრათ და განეძრახათ ფაქიზას მოპარეა, ის კი არ იყოდენ, რომ ღორს თავისუფლათ მინდორში ეძინა; არც კედლები, არც კარი და არც კლიტე იმას არ იფარავდა.

დათვეს ახლა სანათურისაკენ შემოესმა წმაურობა.



— ჩუმად, სოქვა ერთ-ერთმა, ჯერ მე აეცოცდები, როცა ჩა-
ვალ თავლაში, თქვენც თითო-თითოდ ამოდით, ხმაურობა არ
იყოს, თორებ წახდება ჩევნი საქმე

დათვმა ნახა, რომ სანათურიდან თითო-თითოდ ვიღაცები ჩამო-
დიან, მიიწია კუთხეში და უკანა ფეხებზედ დადგა.

— ის აქეთ უნდა იყოს, გესმის იმის ღრუფუნი.

— მეც ვატყობ, რომ აქეთ უნდა იყოს, მაგრამ ვერ მიპოვნია,
სოქვა მეორებ ხელების ფათურით.

— ვერ გამიგია სად უნდა იყოს ეს დალოცვილი?

— მოიცა, ყური დაუგდოთ!

დათვი სულ გაყმენდილი იყო, ელოდა დროს, რომ მიეარდეს
თავის მტრებს.

— რა სიბნელეა, სოქვა გრიგოლმა. დათვმა არ გაათავებინა
ლაპარაკი, ისე საშინლად დაარტყა თავისი მძიმე ტოტი, რომ გრი-
გოლი იქვე გაიშოტა.

მერე მოდგა ჯერი მეორე
ქურდზე. ისიც ისე მარჯვედ წააჭ-
ცია მეორე მხარეს.

თავი ვეღარ შეიკავეს და
ორივემ დაიყვირეს, თუმცა ცო-
დენ, რომ ამ ხმაურობას უთუოდ
ყველა გაიგებს.

— ეს რა ამბავია, გაითიქრა
მესამე ქურდმა, მაგრამ ამავე
დროს ორი მძლავრი დათვის
ტოტი დაეცა ამსაცა.

— მიშველეთ, მიშველეთ, დაიყვირა ამან სხვებზედ უფრო მაღა-
ლი ხმით.

„ეს ღორი კი არა, დათვი ყოფილა!“

ამ ქურდს თავის დღეში მართალი არ ეთქა, მაგრამ ახლა კი
არა სტყუოდა. უთუოდ აქამდის ამას არც არავინ ჩაჰერია ასე
ძალუმად გულში, როგორც ახლა დათვი, და როგორ არ დაიყვი-
რებდა.

ისეთი ხმაურობა ატყდა, რომ არ შეიძლებოდა, სახლში არ გაე-
გოთ. ჯერ პირველად ორმა ქურდმა რომ დაიყვირეს კარლოსიც და




დათვის პატრონიც, თუმცა ღრმა ძილში იყვენ, მაშინვე წამოხტენ, გადიცეს ტანისამოსი და გასწიეს თაელისკენ. ამათ უკან მოჰყევა კარლოსის ცოლი პატარა ქალით, რომელთაც ეჭირათ სანთლები. ვაჟმაც საჩქაროდ ჩამოხსნა კედლიდან მამის თოფი და ისიც წამოვიდა.

— ჩემი დათვის მოპარეა სდომებიათ! სთქვა დათვის პატრონმა.

— არა, უთუოდ ჩემი ღორის მოპარეას დააპირებდენ, ეგონებოდათ, რომ მანდ ეძინებოდა.

— რაც იყო, იყო, აეჩქარდეთ, თორემ ქურდებს ცოცხალს ვეღარა ვნახავთ. ჩემი ბრალი არ იქნება დათვემა რომ რამე აუტეხოსთ იმათ, კაცის დარჩობა არაფრად უღირს.

საჩქაროდ მივიდენ ყველანი თაელის კარებთან, გააღეს კარები და საშინელი სანახავი წარმოუდგათ თვალწინ.



დათვი ისევ კუთხეში იდგა, მოებლუჯნა მესამე ქურდი და არჩობდა. მისი წიგილ-კივილი ზეცას აღიოდა. დანარჩენი ორი ქურდი ისევ ძირს ეყარენ გაშოტილი. ერთს ხელი მიედო ყურზედ, მეორეს ლოყაზედ და სისხლში ცურავდენ.

— ეს რა ამბავია, დაიძახა კარლოსმა.

კარლოსის ცოლი ისე აღელებული იყო, რომ პირი დააღო და ვერაფერს ამბობდა.

შეილმა კი შეჰყეირა:

— ეს სამი კაცი მენიშნებიან. გასიოვს, მამავ, ბაზარში უკან რომ დაგედევდენ და სულ ჩეენი ფაქიზას ქებაში იყვენ. უთუოდ იმის მოსაპარავად მოსულან!

კარლოსიც დაეთანხმა შეილს. ამავე დროს დათვის პატრონი ცდილობდა ქურდი გამოეხსნა დათვის კლანშებიდან და ალერსით ეუბნებოდა:

დაჭილდოებული ფაქტიზა

— ნუ, ჩემო დათუნიავ, შენ როგორ გაგიბედავდენ ხელის ხლებასა, არ ეგონათ, რომ შენა ხარ მანდა.


— ვასწით ახლავე, დამეკარგეთ, თვალით აღარ მეჩვენოთ, უთხრა კარლოსმა ქურდებს. ახლა რაკი დათვმა დაგსაჯათ, ისიც გეყოფათ, თორებ არ შევარჩენდით. აბა, თუ როდისმე გავიგე კიდევ, რომ სადმე ვიქურდნიათ, მაშინ სეირს გიჩვენებთ.

ქურდები შერცხვენილნი, რის ვაიგაგლახით წამოვიდენ. ორს ამხანაგს მიჰყავდათ მესამე და ძლიერ ძლიერით გაეიდენ შარა გზაზედ, თენდებოდა. იქ მოესმათ ღორის ღრუტუნი. მიიხედეს და ნახეს ფაქიზა, რომელიც მინდონში თავისუფლათ დასეირნობდა.

— ვაი, დედაო, თურმე აკი აქ ყოფილა ჯილდო-მილებული ღორი! სთქეა ერთმა ქურდთაგანმა, — რა ადვილი ყოფილა ამის ხელში ჩაგდება და ჩეენ კინალამ თავი წაეადეთ.

— ღმერთმა დაგვიფაროს ამიერიდან ამისთანა საქმისაგან. დღეს დიღ განსაცდელს გადაერჩით. — სთქვეს სხვებმა და გულამოსკვნით წაეიდენ თავიანთ ბინაზედ.

ან. თ—წ—სა.



შაშვი



აშვია სთქვა: თუმცა ზამთარი
 მე ვერას მაკლებს სრულადა,
 მაინც კი გული რაღასაც
 გლოვობს ჩემს უნებურადა.

და გაზაფხულზედ, როდესაც
 ბუნება აბიბინდება,
 და რომ დაიწევებს სიცილსა,
 როცა მზე ამობრწყინდება,

ფროასა გმლი, სევდა მშორდება,
 გული ძეგსება ლხენითა,
 ზამთარში დამუნჯებული
 ქინს ახლა ვიკლავ სტენითა.

მიუვარს სრულ-თავისუფლებით
 ფრენა კიდიდან კიდესა,
 გალობა დილა საღამოს,
 რომ არვინ დამიშლიდესა,

სან ეურისგდება ამაფად,
 მუხა რომ მორთავს შრიალსა,
 მაღალი კლდიდან ჩანჩქერი
 მირს რომ დაიწევებს ჩერიალსა,

მთვარე რომ ნახად ამოვა
 და გადმოსედავს ეანასა. . .
 ტუის პირად გაბმულ ბარდებში
 ბვილებს რომ კეტვეი ნანასა! . . .

არ ვეძებ მდიდრულ ცხოვრებას
 იქ, სადაც ნაზი იაა,
 სადაც გამლილი ვარდიკით
 გული სულ მუდამ ღიაა,

სადაცა ბოწეინავს გვირგვინი
 ზურმუხტად განაფხულისა;
 იქ, სადაც სულის სიმშვიდეს
 მოსდევს სილადე გულისა.

მეტებალა



ვ ე ს ვ ე ბ ი



უგეშინია, არა ვართ გველები, ამ მაღალს მთაზე
გველს რა უნდა? ტყუილად შეჰქრთი, ჩვენ კაცს
არაფერს ვაენებთ, არ მოესწამლავთ. ვარედან რომ
დაჭმუჭნილი ხმელი ტყავი გვაკრაეს, იმან შეგაში-
ნა? ერთს დროს ჩვენ სხვა ფერი და იერი გვედო,
დრომ, ეამთა-ეითარებამ შეგვიცვალა სახე და ახ-
ლა მწყემსი. წამოგვაწყდება ზედ, თუ მონადირე,
უნდა შეკრთეს, მანამ ახლოს გენახაეს! სანამ შეიგნებს, რომ ჩვენ
ერთის მუხის ხმელი ფესვები ვართ და სხვა არა-არა. ერთს დროს
ჩვენ უზარ-მაზარს მუხას ვკვებდით, საზრდოს ვაწედიდით, ძუძუს
ვაწოვებდით. ჩვენის ოფლით, ჩვენი ლვაწლით მუხა თაე-მომწონედ
ყელ-ყელაობდა, ჩვენც ამითი მოგვწონდა თავი, რომ ლამაზი, გულ-
შეუდრეკელი, ამაყი შეილი გაეზარდეთ.

— თქვენ და თქვენს მუხას მოგინდათ ჩემი ძალ-ლონე, ჩემი
ამაგიო, ბევრჯელ უთქვამს ჩვენთვის დედა-მიწას; მავრამ ჩვენ მაინც
ყელის წევით მუხლ-მოდრეკილნი გამოესთხოვდით ხოლმე საზრდოს
ჩვენის საყვარლის შეილისათვის, მის გულისათვის დღე და ღამე
გასწორებული გვქონდა. საზრდო არ დავაკლოთ, ვეცადოთო — ერთ-
მანეთს ამ სიტყვებით ვამხნევებდით. დაისენენ დედა-მიწავ, დაისენენ,
ჩვენ ახლა შენ აღარ შეგაწუხებთ, ეისთეისაც გეფერებოდით და
გეხვეწებოდით ის აღარა გვყაეს, ჩვენცა ეხმებით, ხმელსა და მკედარს
საზრდო რაღად უნდა? კაცმა, შეუბრალებელმა ადამიანმა, მოგვიკ-
ლა გული, მოგვიკლა შეილი და დაგვტოვა თვალ-ცრემლიანი,
ადგა ცულით, დაუწყო ჭრა, იმას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენი შეი-
ლის კვნესა, ცულს რომ გეცემენ ჩვენ ეკვნესით და თქვენ კი კაც-
ნი ამას „რაკუნს“ ეძახით, გადმოგვედის სისხლი და თქვენ ჩვენს
სისხლს „ხის წვენს“ უწოდებთ... განა რომ ხელს არ გამოვიდებთ,
პირს არაეთს ვაკაწრით, არა ვლანძლავთ, წასულს არ მიედევთ და

მოსულს მჩისხანე სახით არ ეუხედებით, იმიტომ არაფერს ეგრძნობთ?!

„ჭუხას ეჭრიო, — კაცი თავის ამხანაგს ეძახდა, ვითომ და არაფერიო, იგი ვერა ხედავდა, თუ ჩენ მაშინ ჩუმად მიწაში ცრემლსა ვღერი-დით, რომ ჩვენმა ცოდვა-ბრალმა დედა მიწაც აატირა: „საწყლებო-ვო, ბუზღუნებდა ისიც, რისთვის, ვისთვის იწვალეთ, ან მე ვისთვის ვწვალობ, ენ აჩის მაღლობის მთქმელია!..

თუმცა დედამიწა ამას ამბობდა, მაგრამ იმავე დროს წინ წამო-წვდილს, შორიდან წამოზრდილს წიფლის, არყის და ვერხვის ფე-სვებს უდებდა საგზალს... უარს ვერავის ეტყევის ეს ღვთისაგან კურ-თხეული, ყველას დედა, ყველაზედ ის ზრუნავს, ყველა იმის ზრგ-სა ჰყიდია. იკურთხოს შენი ძუძუ, ჩვენო დედავ, ჩვენო გამზრდელო, ჩვენო ძუძუს მაწოვებელო!

მაგრამ რა ჰქმას საბრალომ, ამასაც ბედმა უმტყუნა. გუშინ და დღეს ჩენ ბევრი ვიტირეთ, გვენანება იმ ადგილის გაშორება, საცა დავიბადენით, აეიზარდენით, სადაც სიცოცხლე ვიგრძნეთ. ვინ იცის, რა მოგველის დღითი-დღე ჩენი ბინა ინგრევა, იშლება, ფლატე კეთდება და ჩენ უსახურავონი ერჩებით, ტიტველნი და შშიერნი, ბოლოს მოვწყდებით და წავალთ თავქვე. ჩავეშვებით ულრანს ხევში. ვინ იცის, იქ რა მოგველის? ვინ იცის, იქ რა ნიადაგი დაგვიხედება, — დავიხოცებით სრულიად, თუ კიდევ მიწა დაგვფარავს და გაგვიჩნის საზრდოს?! ვინ იცის, იქნება გირმავმა მდინარემ გაგრძიყოს სადმე უდაბურს ადგილას და მწვავე მზის სხი-ვებმა დაგვაჭრნოს, გაგვახმოს, გააქროს ჩვენი ხსენება!

ღმერთო, ნუ დაგვეკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ; დედამიწავ, კიდევ გაგვიჩნი ბინა, სიცოცხლე და შრომა გვწყუჩია, გვინდა კიდევ ვიშრომოთ, ეგები კიდევ გაეზარდოთ ჩენს ფესვებზე შვილი, ეგები კიდევ ვიგრძნოთ სიხაული. ბუნების ძალნო, შეიწყნარეთ საბრალო ფესვების მუდარა!

ვაჟა-ფშაველა

მეღა და მაყვალი

(ეზოპის იგაფი)


მრთსა მეღას მონადირე
 გამოუდგა მოსაკლავად,
 მეღა მაუვლის ბუჩქში შეჭრა
 დასამალად, დასაფარად.
 მაგრამ მეღას, მაუვლის ეკალთ
 დაუხიეს სულ თავუბირი,
 მეღამა სთქა: «უძვუობით
 გადვიკიდე თავზე ჭირი;
 შეგეხიზნე ბოროტ მაუვალს,
 მსურდა თავი გადმერჩინა,
 გადარჩინის ნაცვლად ამან
 ესდენ სისხლი მაღვრევინა!
 ამოდენა სისხლის დალვრა,
 არ შეეძლო მონადირეს,
 რომ დავეჭერ!.. «ჭოთ, ღმერთო,
 მაუვლის ეკალთ გამაკვირეს!..»

მ. ლ.



შრაბარი სამ-კვერცხსას ქალისა

(სოფ. ხელოუბანში ჩაწერილი თ. რაზიკაშვილის მიერ)



ყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,
 იყო ჩიტი მგალობელი,
 ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

იყო ერთი ხელმწიფე; იმას ერთი ვაჟი ჰყავდა.
 ერთხელ ის ვაჟი თავის ტოლა ბიჭებთან კოჭა-
 ლიდა. ამ ღროს ერთი ქალი წყაროზედ მოვიდა კოკით. ხელმწი-
 ფის შეილმა უთხრა ტოლებს: „რა სანაძლეო იყოს, იმ ქალს ის
 კოკა გაუტეხხოვო.“ მართლაც გაისროლა ქვა და გაუტეხა ქალს
 კოკა.—დაგწყველო, როგორ დაგწყველო, დედისერთა ხარო, მოსა-
 ხა ქალმა, და შენამც შეიყრია სამკერცხსას ქალის სიყვარულით. ის
 ვაჟი შინ რომ მიეიდა, დედას უთხრა: „დედა, ერთი ძუძუ მამაწო-
 ვეო.“—არა, რაღა ღროს შენი ძუძუ არისო, უთხრა დედამ. შეილი
 არ მოეშეა. მოაწოვა. შეილმა კბილი მოუჭირა ძუძუზედ, მითხარი,
 სამ-კვერცხსას ქალი საით არისო. დედამ არ უთხრა, კიდევ მოუჭი-
 რა, მითხარიო. დედა არ ეუბნებოდა. შეილმა კიდევ მოუჭირა, მერე
 ასწავლა: ცხრა მთას გადივლი, იქ ერთი შეკომური დგას, ის ერთს
 კვერცხს მოგცემს, იქიდან წახვალ, კიდევ გადივლი, იქაც ერთს
 კვერცხს მოგცემენ; ის მეკომური გეტყვის: ეს ორი კვერცხი გატე-
 ხე, რომელიც მე მოგცე და რომელიც ჩემზედ წინამაო. ეს ბიჭი
 წავიდა, იარა, იარა, გადიარა ცხრა მთა, იქ ერთი მეკომური იდგა.
 იმან ერთი კვერცხი მისცა. გადიარა კიდევ ცხრა მთა, იქაც კვერ-
 ცხი მისცეს. გადიარა კიდევ ცხრა მთა, იქაც ერთი მეკომური იდგა,
 იმანაც ერთი კვერცხი მისცა და უთხრა: ეს ორი კვერცხი გატეხე
 და ეს მესამე შეინახეო. მიეიდა ის ვაჟი ერთს წყაროსთან, გატეხა
 კვერცხები და იქიდან ერთი მხეთუნახავი ქალი გამოვიდა, ალეის.

ხეზედ მჯდომარე, ტანზედ არა ეცვარა. ვაჟმა უთხრა: ქალო. მანდ
 იჯექ, მე წავალ და ტანისამოსს მოვიტანო. წავიდა ვაჟი. ამ დროს
 წყაროზედ ერთი არაბის ქალი მოვიდა, ის არაბის ქალი გულთმი-
 სანი იყო, მშეონახავი ქალიც გულთმისანი იყო. ამ არაბის
 ქალმა ჰქითხა, როგორ ახვედი, მეც ამიყვანეო. ტოტებს ხელი მოვ-
 ჭიდე და ისე ამოველო.—ხელი ჩამომაწოდე და ამიყვანეო. უთხრა
 არაბის ქალმა. ჩამოაწოდა მშეონახავმა ქალმა ხელი. არაბის ქალ-
 მა დაპქნია და წყალში ჩააგდო. ის არაბის ქალი ალვის ხეზედ ავი-
 და; ის მშეონახავი წყალმა წაიღო. მოვიდა ვაჟი, მოიტანა ტანი-
 სამოსი, ნახა ქალი შავია.—მაგრე რამ გაგაშავაო, ჰქითხა.—შენს
 ცქერაში გაეშავდიო. „ხელები რაღამ გაგიშავაო?“—ხელებიც პირზედ
 მეწყოვო. რა ექნა ამ ვაჟსა. ადგა და ჯვარი დაიწერა. წყალში
 ჩაეარღნილი ქალი გადიქუა ოქროს თევზად, წავიდა და სადაც იმ
 ვაჟის საქონელი სეამდა წყალს, იქ დაბინავდა. როცა საქონელს
 ჩაჰკრიფენ წყალში, ოქროს თევზი წყალს აშუქებდა და აფთხობ-
 და საქონელს. ხელმწიფის ვაჟს მოახსენეს, წყალში ერთი რაღაცა
 ზის და საქონელს წყალს არ ასმევსო. ხელმწიფის ვაჟმა მაშინვე
 გაგზავნა მებაღურები იმის დასაჭერად. მებაღურებმა დაიჭირეს და
 ოქროს ტასტში ჩასვეს. იმ არაბის ქალმა თავი მოიაფადა. ბევრი
 ექიმები მოღალეს, მავრამ არა ეშველარა. მერე ჰქითხეს, რა გოშვე-
 ლისო? —თუ ე მაგ თევზს დაპკლავთ და ისე შესჭამთ, რომ ერთი-
 ფხაც არსად გადავდოთ, მოერჩებიო, თუ არა და მოვკედებიო.
 რა ექნათ? ადგენ და დაკლეს ეს თევზი. მზარეულებმა კიდეც სჭა-
 მეს და ფხები კი გადაყარეს. ის ფხები ნაგავს გაჟყვა. არაბის ქალი კარ-
 გად გახდა. იმათ კარებზედ ფხიდან ერთი ისეთი მსხალი ამოვიდა,
 ქვეყანა მოდიოდა, სჭამდა და არ ილეოდა. ვაჟმა უთხრა ცოლს,
 გამოდი, ნახე ჩეენს კარებზედ რა მშეენიერი მსხალი დგასო. არა-
 ბის ქალი გამოეიდა და მაღლა შექხდა. ამ დროს ერთი დიდონი
 მსხალი მოსწყდა და ზედ თავზედ დაეტა, ქალი ძირს დაიკუზა, ზედ
 ხრიალით დაეყარა.

შევიდა ეს ქალი და ავად გახდა. მოღალეს ექიმები, არა ეშვე-
 ლა-რა. ჰქითხეს, რა გოშველისო.—კარებზედ რომ მსხლის ხე დგას,
 თუ მაგას მოსჭრით და ისე დასწვავთ, რომ ერთი ნაფოტი არსად გადაერ-
 დეს მაშინ მოერჩებიო. ადგა ჭიმოაჭრევინა ამ ვაჟმა. ერთის ბებრის კარებ-
 ზედ სამი ნაფოტი გადაერდა. ორი ნაფოტი ცეცხლზედ დადეა და ერ-



თი საკონტექსტი ჩააგდო. როცა ეს ბებერი წირვაზედ წაეიძოდა, იქ-ცეოდა ქალად ნაფოტი, დაჰვიდა, დაკრიალებდა, აანთებდა კეცხლსა, შესდგამდა შეჭამადს და ისევ ნაფოტად იქცეოდა. ბებერი რომ მოვი-დოდა და ასე დაკრიალებული დაჰვიდებოდა და დალაგებული სახ-ლი, გაუკეირდებოდა. მეზობლებსაც ჰყითხავდა, ვინ მიგვიხო? დედაკაცებმა უთხრეს, უყარაულეო და დაიჭირო. ერთს დღეს ბე-ბერი წასასელელად დაემზადა, მაგრამ იქვე კი დაიმალა. ბებერი რომ გაიგულა, იქცა ნაფოტი ქალად და გადმოვიდა, სტაცა ბე-ბერმა ხელი და დაიჭირა. ქრისტიანი ხარ, თუ ეშმაკიო? ჰყითხა ბე-ბერმა.—ეშმაკი რათ ვიქნებიო, ქრისტიანი ეარო.

— მაშ შენ შეილი და მე დედაო, უთხრა ბებერმა.

— ძალიან კარგიო.

დადგენ და დაიწყეს ცხოვრება.

ერთხელ ქალმა ჰყითხა თავის დედობილს: ხელმწიფის შეილ-თან ვერ გამეგზავნებიო? — რატომაო?

მაშინ ქალმა გააკეთა ერთი წამალი, მისცა ბებერს და უთხრა: ეს წამალი ხელმწიფის შეილის ცხენებს გადააყარეო. ბებერმა წაი-ლო და გადააყარა.

იქცა ის წამალი ქეცადა და მატლად.

გაუკეირდათ მეჯინიბეებს, ეს რა აშჩავიაო. ბევრი უწამლეს, მაგრამ ვერ მოარჩინეს.

იმ ქალმა უთხრა იმ ბებერს:— დედა, წადი და ხელმწიფის შეილს უთხარი, მაგ ცხენებს მე მოვარჩენო. ათი თუმანი სთხოვე, ხუთს თუმანს მოგცემს და წამოიღეო. წაეიდა ბებერი და, როგორც ქალ-მა დააბარა, ისე მოიქცა. მისცა ხელმწიფის ვაჭმა ხუთი თუმანი და წამოილო შინა. გააკეთა ქალმა წამალი, მისცა და უთხრა, წადი და იმის ჯოგს გადააყარეო წაეიდა ბებერი და გადააყარა წამალი. ცხე-ნები ისევ ისე მოარჩინ, როგორც იყვნენ.

ხელმწიფის ცოლს მძივი გასწყვეტოდა და ვერ აუსხა. ქალმა უთხრა ბებერს: წადი, დედა, უთხარ, ოცი თუმანი მომეცი და მე აგისხამთქი. ათს თუმანს მოგცემენ და წამოიღეო. მივიღა ბე-ბერი და მოახსენა: მე აგისხამთ მაგ მძივს, ოცი თუმანი მომეციო. ათი თუმანი მისცეს და წამოილო. ამ ხელმწიფის ვაჭმა სთქეა, თუ ერთი არ გავყევ და არა ვწახე, ვინა ჰყავს ამას ისეთი, რომ ამ მძივს

ასხამსო, არ იქნებაო. წავიდა ვაჟი და იმათ ბანთან დადგა, ამ ქალმა გაიგო, რომ ვაჟი იქ იყო, მოჰყვა თავის თავგადასავალს.

ქალმა სთქვა: „მე ვიყავი სამ-კვერცხას ქალიო.—აასხი, გულო!

„მე ალეის ხეზედ ვიჯექი. აასხი, გულო!

„ტიტველა ვიყავი, ჩემი ქმარი ტანისამოსის მოსატანად წავიდა. აასხი, გულო! თან ეს მძიევი ისხმებოდა.

„მოვიდა ერთი არაბის ქალი და მითხრა, მაგ ხეზედ როგორ ახვედიო. მე ვუთხარ, ამ ტოტებს მოვდჭიდე და ისე ამოველო. აასხი, გულო!—მძიევი ესხმებოდა. ხელმწიფის ვაჟს ყველაფერი ესმოდა და და უკვირდა.

„ცოტათი ამოვიდა, მერე დამიძახა, ხელი ამომაწოდეო. აასხი, გულო!

ჩავაწოდე ხელი. აასხი, გულო!

„დამიქნია, წყალში ჩამაგდო. აასხი გულო!

„მერე ის ხელმწიფის ვაჟი მოვიდა, უთხრა, აგრე რამ გაგაშავაო.

„შენს ცქერაში გაეშავდიო. აასხი, გულო!

— ხელები რაღამ გაგიშავაო?

— ხელები პირზედ მეწყო და იმან გამიშავაო.

„რაღა ექმნა ხელმწიფის შეილს, ადგა და იმ ქალზედ დაიწერა ჯვარიო. აასხი, გულო!

„მე ვიქეც ოქროს თევზად და სადაც იმ ვაჟის ჯოგი სეამდა წყალს, იქ ჩავჯექიო. ჯოგს წყალი აღარ დავალევინე. აასხი გულო! წავიდენ და ხელმწიფეს უთხრეს, შენი ჯოგი წყალს აღარ სეამსო. აასხი, გულო!

„გამოგზავნა იმ ხელ მწიფის ვაჟმა მებადურები და დამიჭირეს, მომიუვანეს და ოქროს ტასტში ჩამსვეს. აასხი, გულო! (უკეირს ბებერს და ხელმწიფის ვაჟს ეს წათქვამები)

„არაბის ქალი აეად გაბდა, პეერი ექიმები მოღალეს, მაგრამ ვერ მოაჩინეს. მერე უთხრეს, რა მოვარჩენსო. მაგრამ ის ტყუილად იყო აეად. აასხი გულო!

„იმ არაბის ქალმა სთქვა: თუ ე მაგ თევზს დაჰკლავთ და ისე შესჭამთ, რომ ერთი ფხაც არსად გადაეარდეს, მოერჩები და თუ არა, მოვკვდებიო. აასხი გულო!

ზღაპარი სამუკუდერცხას ქალისა

„დამკლეს დჲმზარეულებს მიმაბარეს შესაჭმელადაო. აასხი, გულო!

„შემჭამეს და ერთი ფხა ნაგავს გამაყოლეს. აასხი, გულო!

ისეთი მსხალი ამოვედი, მთელი ქვეყანა ჩემს ნაყოფს სჭადა და
კიდევ არ ილეოდა. აასხი, გულო!

„მერე გამოვიდა ხელმწიფის შეილი. აასხი, გულო!

„და ცოლს უთხრა, გამოდი, ნახე ჩვენს კარებზედ რა მსხა-
ლი ამოსულაო. აასხი, გულო!

„გამოვიდა ის ქალი. ის ქალი რომ მომწედა, თავში შესლე-
ბი დავაყარე. აასხი, გულო!

ის მძიეიც ისხმებოდა.

არაბის ქალი ავად გახდა. აასხი, გულო!

„ბევრი ექიმები მოლალეს და ეერ მოარჩინეს. მერე უთხრეს,
რა გიშველისო. თუ ამ მსხალს მოსჭრით და ისე დასწვავთ, რომ
ერთი ნაფოტი არსად გადავარდეს, მოერჩები, თუ არა და მოვკედე-
ბიო. აასხი გულო!

„მოსჭრეს ის მსხალი. სამი ნაფოტი ერთის ბებრის ეზოში
გადავარდა. არაბის ქალი მორჩა. აასხი, გულო!

„ორი ნაფოტი დამწეულ და ერთი საკონტეში გადამაგდო ბე-
ბერმა. ქალათ ვიქეცი. აასხი გულო!

„ამოვეიდოდი ხოლმე, დავგვიდი, დავალაგებდი. აასხი, გულო!

მერე ისევ ნაფოტად ვიქცეოდი. აასხი, გულო!

გაათავა ეს ამბავი ქალმა და მძიეიც აასხა. მერე მისცა ეს
ასხმული მძიეი თავის დედობილს და უთხრა წაილეო.

ბეპერი რომ წაეიდა., ხელმწიფის ვაჟი მაშინვე შევარდა ქალ-
თან, გადაეხეია და დაუწყო კოუნა.

მაშინვე გადიწერა ჯვარი იმაზედ, გამართა დიდი ქორწილი
და ლხინი. არაბის ქალი კი ცხენს კუდზედ მოაბა და დააგლეჯინა.



ღრუბელი და მთვარე

(იგავ-არაკი)

 უერთხელ ღრუბელთ გადასწყვიტეს,
დააბნელინ ბადრი მთვარე;
სჩანს შეშურდათ მის სიტურფე,
სინაზე და სინარნარე...

 შეიკრიბენ ყველა ერთად,
შეიკუმშენ, მთლად გაშავდენ
და, მიმავალს თავის გზაზე,
ლამცს მუშაქს მედგრად დახვდენ.

მაგრამ მთვარემ არც შეჰედა,
მსწრაფლ გასცურა ის ადგილი
და დასტოება ღრუბელთ გროვა
პირში ჩალა გამოვლილი;

გასცურა და ქვეყანასა
მან ნათელი კვლავ ჰმოფინა,
ლამის მეხრის და მგზავრის გულს
სიხარული აგრძნობინა.

ღრუბლებსა კი სიავისთვის
შძლავერმა ქარმა დაუბერა,
ცხრა მთას იქით გადაფანტა,
ერთ წამსაც არ გააჩერა.

დუტუ მეგრელი

ნანოს დედოფალი

ნანო, ნანო, აქ მოდი რა გაჩვენო, მხიარულათ უძახდა
ქეთო თავის პატარა რვა წლის ქალს, რომელიც ბაზ-
ში ჰქონდასავით დაფრიალებდა და ბეღურა ჩიტივით ჭიკ-
ჭიკებდა.

— ეხლავ, დედაჯან, ეხლავ, უჩასუსა ბავშვა დედას და
თითონ კი არ ჩქარობდა ეს შვენიერი კუთხე, უვავილე-
ბით სავსე და მაისის მშით გაბრწყინვებული, ოთასის
შეზღუდელ ჭარზედ შეეცვალა.

— ნანო, არ გესმის? გაუმეორა დედამ. ამო, ნახე რა
მოგიტანა ნათლია შენმა,

— მომიტანა?! ნათლიამა მომიტანა... აქ კი ნანო ქა-
რივით გამოჭქროლდა და ერთ წამს შეძლებ ნათლიას
კისერზედ შემოექნა.

— ჩემო კარგო, ნათლულო, ჩემო სუპუტა გოგონა,
აი, რა მოგიტანე ქალაქიდან! შენ ჯერ სომ არსად გინა-
სავს ამისთანა მშვენიერი დედოფალა?

ნანოს სელზედ გადასვენებული ეჭირა გასაოცარი სელო-
ვნებით გაკეთებული პარიების დედოფალთ და მეტის სისა-
რულით აღტაცებული გაოცებით დასცექროდა. იმდე არ
სჯეროდა, რომ ეს ლამაზი, გრძელ-თმიანი, მოდაზედ შეი-
რილის ატლასის ტანისამოსიანი ტიკინი, ცოცხალი არსე-
ბა არ იუო და განძრევისა ემინოდა, რომ დედოფალასთვის
არათვერი ევნო.



— რას გაჩერდი, სიხარულო! აბა, გასინჯე, დაბოვას
ლიერე, ხელი აუწიე, ფეხი მოუკავში, თავი მი-მოუ-
ტრიალე; ოოგორც ადამიანი, ისე ხმარობს ხელ-ფეხს, ნა-
ხე, თვალებსაც ხუჭავს და ახელს

ნანომ დედოფალა გულზედ მიირა და ჩუმად გა-
ვიდა ოთახიდან; ეს ბაღის ერთ გუნქულში მიჯდა და
გაოცებით და კრძალვით დაუწეო შინჯვა თავის საუნჯეს.

დედოფალას კოპტია ტანი, იმის ლამაზი ცისფერი
თვალები, ოქრომკედივით მბზინავი გმელი თმა აკვირებდა
ნანოს, მეტადრე იმის მორთულობა: პაწაწა ჩულქ-ბაშმაკი,
უვავილებით შემკული «შლიაჩა», ერთი ნამცეცა დუგმებით შეპ-
რული მოდაზედ შეკერილი ატლასის კაბა, არშიებ-მოვლებუ-
ლი საცვლები. ოოდესაც გარედან გაყვირებით გაშინჯა,
მერე ხელახელა დედოფალას ა'როების მომრაობა დაუწეო
და გულიანად გადისარხსარა, ოოდესაც დედოფალას მკლავები
თითქოს ლეგურის სათამაშოდ გადაკლაკნა.

დიდხანს, მალიან დიდხანს პთვალიერა, შინჯა, უოველ
მხრივ ატრიალა ნანომ დედოფალა და ბოლოს, ოოდესაც
უოველი იმის სიმგენიერე და სიკუთე გაიცნო, ტკბილად
გულზედ მიიხურა და ალერსი დაუწეო: «ჩემო კარგი,
ლამაზო, ცუგრუმელავ, ციცუნავ, გუმრიელო, შენიერო
და პროტიალი დაიწეო.

ოოდესაც ნანოს სადილად დაუმხეს, ეს დიდი მეგობა-
რი და მოხიევარულე იუო თავისი «კაკოსი» და ამავად
ხელი-ხელ მოკიდებული შეიუვანა სასადილო ოთახში.

* * *

ნანო აზნაურის ქალი იუო და თავის დედმამით ცხოვ-
რებდა გორში, ქალაქის განაპირად; ამათი პატარა სახლი

კარგა · მოზრდილ ბავშვი იდგა და ბავშვის ბოლოს ლიახვის ანერთა რე ჩამოჩეხუხებდა. ნანო მთელი დღეებით მარტოდ მარტო ამ ბავშვი თამაშობდა და ახლა კი «კაკო» ნაძღვილ ამსანავად გადაექცა. მთელ თავის დროს იმის ალერსმი ატარებდა, იმის ლაპარაკში და დროს გატარებაში იყო: აცმევდა, ხდიდა ტანისამოსს, დროზედ ასადია ლებდა, დროზედ ასეიორნებდა თავის საუკარელ რეს პირას და საღამოზედ გვერდით მიიწვენდა და ტკბილად მიიმინებდა.

თანდითან ისე მიუჩვია, ისე შეიუვარა და შეითვისა ნანომ თავისი ლამაზი დედოფალა, რომ ერთ წამს უიმის სოდ ვერარ სძლებდა, უიმისოდ აღარა სია მოვნება არ ახარებდა, არ ეჩიტნავებოდა.

— უშენოდ წაგიდე სასეიორნოდ? არა ჩემო ცუკრუშმელავ, შენც უთუოდ თან უნდა წაგიუვანო,

ეტეოდა თავის საუკარელის და ოთვორც მას დედა, ისე ის თავის «კაკოს» მორთვას დაუწევებდა. მხოლოდ დღეში ერთი საათით სწავლის დროს შორდებოდა ნანო თავის დედოფალას და მაშინაც გულმურჯალედ გამოესალმებოდა, დააწვენდა და თბილად დახურავდა, რომ იმის მისვლამდე არ შეცივოდა.



შემოდგომაზედ ნანოს ბაღის მეზობლად, რუს გაღმა, ვენახში სართვლოდ, ვიღაც ვაჭრის ოჯახობა გადმოსახლდა. ქრთ შეკნიერ მეუღლო შემოდგომის დილას, როდესაც ნანო თავის სავარელი დედოფალათი რუს ბირას მივიდა და იმის ანგარა წელის სარკეში ახედებდა თავის კაკს, გაღმიდან ვიღამაც უურმნის კლერტო ესროლა. შემინებულმანანომ მაღლა აიხედა და გადმონგრეულ ღობესთან თერთმეტათორმეტი წლის ქლი დაინახა; უმაწვილებმა ერთმანეთს გაუდიმეს და ბირკელი გაცნობა ამით გათავდა.

მეორე დღეს რემსომ ნანოს ლაპარაკი დაუწეო, თავის სახელი უთხრა, ნანოსი შეიტეო, დედოფალას გარემო ებაც გამოჰყითხა. მესამე დღეს რემსო ღობეზედ გადმოხტა და ნანოს, როგორც მეელი მეცობარი, ისე მიეგება.

ამ დღიდან «კაკს» ერთი პატრონის და მომვლელის მაგივრად ორი გაუხდა. რემსო, როგორც უფრო გაზიდილი, გამოცდილი და მეტად გამბეჭდავი, უფრო მეტად სარგებლობდა «კაკს» მოვლით და პატრონობით, ნანო მსოლოდ ჩუმად შეჭერებდა რემსოს, როდესაც ის დედოფალას უალერსებდა, რთავდა ან დარიგებას ამლევდა და სწორებნიდა.

ქეთომ შეიტეო, რომ ნანოს მეცობარი გაუჩნდა და გულით გაიხარა, დღეის შემდეგ იმის პატარა გოგონა ბაღში მარტოდ მარტო ადარ იხეტიალებდა.

* * *

ერთ კერის შემდეგ ნანომ დედას სიხარულით უამბო რემსოს სურვილი, რომ «კაკს» თავის «მევეს» უთხოვოს.

— როგორ თუ, უთხოვოს? გაკვირვებით ჰყითხა ქათომ ნანოს.

— ისე, ქორწილს გავმართავთ, სტუმრებს დავშეაციებთ და ჩემ «კაკოზედ» იმის «ძევეს» ჯეარს დავწერთ. გენა ცვა, ღედილო, საქორწილოთ ფჭვილი, კვერცხი, ერბო, დგინდ და სილი უნდა მომცე; არითანა უნდა გავმართოდ. რემსო ამბობს ჩვენს იქით ორი პატარა ქალი დგასო და ქორწილში ისინიც მოვიწვიოთო.

მალიან კარგი, ჩემთ სიხარულო, სუსელაფერს მოგუა და, მაშ შენი პატარა სამოვარი წაიღე და ჩაიც დაალევინე შენ სტუმრებს, ჩაი-ძაქარს, რემს მოგიმზადებ.

ნანო აღტაცებული, სიცილით და სიძლერით გაიჭრა რემსოსთან და თავის ღედის თანხმობა გადასცა კაკოს გათხოვებაზედ.

რემსომ მალე მოიგვანა თავის ნაცნობი პატარა ქალებიც და თავის პატარა, ღუწის შეგირდი, მმაც. ესენი საერთოდ შეუდგენ ქორწილის სამზადისს; პატარა ქვევრის პირი მიწაში თონის სამაგიეროდ ჩასვეს და ნაზუქის ცხობა დაიწევს, პატარა ზედადგარ ქვეშ ცეცხლი ვააჩინეს და რემს ფლავის ხარშვას შეუდგენ.

ნანო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ის ჩიტივით მიჟვრინავდა და მოარბევინებდა უოველ საჭირო ნივთს, საჭირო ხორავეულობას.

ქეთოს ნანოს მეტი შეიღილი არა ჰყავდა, მზე და მოგარე იმაზედ ამოსდიოდა და, აბა, რას დაუჭერდა; იმის სიხარულს და აღტაცებას რომ სედავდა, თითონ უფრო ხალისობდა და ხელს უწეობდა. თავის ხელით გაუმართა პატარა ხის ფარდეულში, ბაღის ბოლოს, ტახტი, ზედ სავენი გადუმალა, სუფრა მოუშადა, «კაკო» საპატარძლოდ

მოუკმაზა და თითონ ქალაქში სტუმრად წავიდა, ბავშვები კი მოახლეს ჩააბარა.

როდესაც ქორწილის სამხადისი დასრულდა; დაბრაწული ნაზუქი ბატარა სონჩებზედ ეწეო, ომის ფლავი თევზებზედ განაწილებული, ბატარა სამოვარი ქაფქაფებდა და საპატარძლო ბირბადე ჩამოვარებული შეა ტახტზედ გამოჭიმული იჯდა, რემსო «მეფის» მოსაუკანად წავიდა.

ნანო თავის კაკის ბირდანირ უჯდა და როგორც ნაძვილი დედა თავის საპატარძლოდ გამზადებულ ქალს, ისე შექურებდა, შესტრფიალებდა: «აი, ჩემო, მეირიგასო,» ეუბნებოდა ნანო დედოფალას, ეხლა «მეფე», მაყრიონი მოგა, ურქმს მოიტანებ და სავდარში ჯვარის დასაწერად წავიუვათ; იქ დვინოს და ბურს შეგაჭმევს ღვდელი და ხალხი დაიძახებს: შეგარგოს, შეგარგოსთო! გველანი ბეჭინიურებას მოგილოფავენ. ხა, ხა, ხა გულიანად გადისარხარა ნანომ, ამ დროს სიმღერის სმა მოესმა და კარში გავარდა მძხლების დასახვედროდ.

მართლა რემსო დიდის ანბით მოდიოდა: ვექერთედა ხის თავაგლევილ უუთმი ჩექსხა თავისი და შეზობელის ქალების დედოფალები, უუთისთვის ბაწარი გამოებათ, თითონ შიგ შებმულიუვენ და სიმღერით და კიუინით მოარიალებენ დედოფლის ეკიპაჟს.

ნანო წინ მიეგება და დიდის ცნობის მოუგარეობით შინჯვა დაუწეო თავის სასიძოს, დანარჩენ სტუმრებს დედოფალებს. სუსველა დედოფლები აშენებული იუვენ წვრილ ჯოხებზედ, ბირი სახის მაგივრად მიტკალ გადაკრული ფოლაქები ჰქონდათ და ჯოხის ბოლოს ამოკერილი სხვა-და-სხვა ფერის ჩითის პარკები ეცვათ, «მეფე» კი იმითი

განსხვავდებოდა, რომ ფოლაქის მაგივრად ჯოხის თავს ბამბის ქულა ჭრიდა ჩამოცმული და ქუდის მაგიერობას ასრულებდა, მთელ ჯოხს ბოლომდის სხვადასხვა ფერი აბრაშების მაფები ეხვია და ჯოხის ბოლოს კაბის მაგივრად ირიბად გაჭრილი წითელი სავერდის ნაჭერი ქინძისა-თავით ჭრიდა გამაგრებული და ეს ქინძისთავი ქულაჯა-საც უმაგრებდა და სანჯლის მაგიერობასაც უწევდა.

ვერაფრად ეჭაშნიკა ნანოს სასიმო. მაგრამ რაღას გაა-წეოდა. მეფე დედოფალს მოუსეს, დანარჩენი წევეულნი გარს შემოუსხდენ და გაიმართა ლხინი, სმა და ჭამა, ჩვეუ-ლებრივი ქორწილი.

მემუსიკეთ იერ ნანოს გამდელი, ბებერი მართა, ერთ-გულად უჭიიბინებდა «ბუზიეს». ჯერ დედოფლები ათა-მაშეს, მერე დედოფლის პატრონებისა ითამაშეს, იმხიარულეს და აიმალ-დაიმალენ.

რემსომ თავისი მეფე და თავისი რძალი უუთში ჩააბ-ძნა, რასაკვირველია, არც ქალის მხითევი დაივიწეა ჩასა-ლაგებლად და მძახალის გამოემშეიდობა და თავის მოწევუ-ლი სტუმრებით ლობეს გადავიდა.

ნანო სიცილით უურებდა მაერიონის გაშორებას და როდესაც ისინი სრულიად მიეფარენ, მხოლოდ მაშინ იგრ-მნო თავის მარტობა, თავის საევარელი კაკს დაშორება და გულზედ ცეცხლი მოეკიდა, თვალებიდან ცრემლები წამოსქდა და თავის გადიას წითელი გულზედ მიეკა: მართა, მიშეელე, კაკო წაიკვანეს და მე რაღა მეშველება?!

— როგორ თუ წაიკვანეს! ეხლავე მოგიტანენ, მხოლოდ დროებით წავიდენ, ასე, ვითომ დედოფალი სახლში წაი-კვანეს.

— არა, არა, აღარ მომიუგანენ, აღარ! მიშეელე, მართა, მიშველე, გულ-ამოსკვნილი ტიროდა პატარა ნაწო და უფრო და უფრო მაგრა ეკროდა თავის მართას.

— სუ, ქალო, რა გატირებს! როგორ თუ აღარ მოგიატანენ. განა ალა, ალა! შენი ნათლიდა ამბობდა კაკალი თუმანი მივეჭიო.

— ო, ო, მართა, რა ნაირად მიუვარს ჩემი კაჭო, რა ნაირად მიუვარს, მე უიმისოდ მოვჭიდები, მოვჭიდები! გენაცვა მომიუგანე, წაართვი!....

მართასაც ეჭვი შეუვიდა, მართლა ხომ არ მიითვისეს იმ გოშბიოებძა ნანოს ღედოვალაო, და ღობესთან გადადგა და რემსოს ღედის დაუმახა: ქალო, ღედიშვილობას, ერთი შენ რემსოს უთხარი ღედოვალა მოაწოდოს, ბავშვი თავს იკლავს ტირილით.

— როგორ თუ «მოაწოდოს»! ამაეთ მიუგო რემსოს ღედამ, ჯერ მიათხოვა და ახლა დაუბრუნოს, დაბრუნება გის გაუგონია.

— რებს ჩმასავ, ღედავ და თვალო, ბავშვები არა ვეოფილვართ, ღედოვლიანობა არ გვითამაშნია, განა მართლი ქორწილია, რომ სასძლო მიითვისოთ.

— მე არა ვიცი რა, უკმენათ სთქვა გაჭრის ცოლმა და კარი შეიხურა.

ნანომ უფრო წიფილ-კიფილი დაიწუო, ღებულობა ღედამიწაზედ და სელ-ფეხს იქნევდა, თავს ღედამიწაზედ ახლიდა და მოსოფელმარა: «ჩემი კაჭო, ლამაზი, შეწიერი კაჭო, კაჭო მინდა, მინდა, მომეციო, მომეციო...

მართა გაბრაზებული გადახტა ღობეზედ და მეზობელს უნდა შესჭროდა ღედოვალას წასართმევად, მაგრამ კარი

დაკმიტილი დახვდა; ბეჭრი იძახა, იჩხუბა, ივაგლახა, მაგ-
რაძ ჩამიჩუბი არსაიდან მოისმოდა, თითქოს ბავშვები და-
ღიანათ დედამიწამ შთანთქა, ან გველემაპა გადაელაპა.

* * *

საღამოს ათ საათზე მივიდა ქეთო სახლში. ნანო
კრატები იწვა და გმინავდა, ბეჭრი ტირილით გულ-
ამომჯდარი მილშიც ისევ სლოკინებდა, მართა გვერდით უკ-
და და დამმარებული დასწეროდა თავის გაზდილს.

— რა ამბავია? შეკვივლა ქეთომ და ნანოს შებლზე
ხელი გადუსვა. ბავშვს სიცხისაგან გარვალი გაჰქონდა
მართამ დედოფალას მოტაცების ანბავი უამბო.

ქეთო საჩქაროდ გაიქცა მეზობლისას, ბნელაში ხან
სად ჩავარდებოდა, ხან სად, ლობეზე ტანისამოსი სულ
შემოიგლიჯა, კარის მაღლება კინაღამ დაგლიჯა; მაგრამ
მაინც არ შესდგა და მეზობლის ფანჯარასთან მივიდა და
გააღვიძა: «გენაცვა,» ზრდილობიანად უთხრა ქეთომ რებ-
სოს დედას, ბავშვისთვის სიცხე მიუცია, ავად არის, დაუ-
ბრუნეთ დედოფალა; ჩვენ ერთ წამსაც არ მოგვიყიქია,
რომ თქვენ ბავშვების თამაშობას აკრეთ მნიშვნელობას
მისცემდით.

— მე რა უნა, რომ ავად არის. ჯერ ქალი მოგვეცით,
ამოდენა რამეები დამასარჯვინეთ არიფანისთვის.

სულ გამცალა ჩემმა ქალმა «ფიგურკა» უნდა გაათხო-
ვონო და ახლა უკან თხოულობთ!

— ჩატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ სუსველაფერს
დაგიბრუნებთ ერთი ორად, «ფიგურკას» გიუიდით სამაგიუ-
როდ, ოდონც შეილს ნუ მამიკლავთ, ეხვეწებოდა ქეთო

უმეს დედაქაცს, მაგრამ ამაռდ. იმან გადებული ფანჯარა სახქაროდ მოჰქმდა და სანთელი გააქრო.

მეორე დღეს, თვალის გახილგაზედვე ნანომ «კაკო» მოითხოვა და რაკი ვერსად დაინახა, ისევ გულსაკლავად ტირილი დაიწყო.

გორში იმისთანა დედოფალა არ მოიპოვებოდა, ქალა ქიდან მინამ გამოიწერდეს დიდი დოო გავიდოდა (მაშინ ჯერ რეინის გზები არ იუო საქართველოში) და რა ექნა საწეალ დედას, რითა ენუგეშებინა თავისი მუირვასი გოგო.

ქეთომ რემსოს დედას, ტიკინის დირებული შეაძლია, მაგრამ არც რემსო და არც დედოფალა გაჭრის სახლში ადარ იუო; ბატრონებს ბავშვიც და დედოფალაც საცალა გაეგზავნათ დასამალად.

მეტი ღონე არ იუო, ქეთომ ბოლიციას მიჰმართა და რის ვაიგაგლასით მესუოე დღეს ნანოს კაკო დაუბრუნეს.

გაუვითლებული, თვალებაზეზრდნილი, შუბლ-შეკრული და მოდრებლეული იჯდა ბატარა ნანო და კაკოს დანარჩენ კაბებს დაჭურებდა, იმის მოგონებაში იუო, როდესაც დედამ სისარულით შემოუტანა გაჭუჭურიანებული კაბით თმებ-გაწმენილი გაკო და კალთაში ჩაუდო.

ნანომ სისარულით შესწივება, გულზედ მიიკრა და მხურვალედ გადაჭკოცნა თავისი ლამაზი და მდუღარე ცრემლებით გაჭიბანა თავისი საუკარელი დედოფალა.

კ. გაბაშვილისა



ბავშვობის დროის მოგონებანი

II

ცოფიანი ძალი.



ვიდი წლისა ვიქტებოლი. გაზაფხული იდგა. შემაღლებულს ჯეჯილებს მწვანედ გაჰქონდათ ღალანი და თავისკენ იზიდავდენ ადამიანსა. ამ ჯეჯილებში იცოდა ფამარა, ერთნაირი რძიანი ბალახი, რომელიც გემრიელი საჭმელი იყო ადამიანისათვის. ჩენი სოფლელნი, ქალები და ვაჟები, ხშირად დაიარებოდენ მინდვრად ფამარას მოსატანად. ერთს კაშკაშა დღეს ჩემი უმცროსი და და მმა ამიტყდენ: წაგვიყანე ფამარაზედაო. მეც მინდოდა ფამარა, კარგა ხანი არ მეჭამა და ამიტომ სიამოვნებით აკუსრულე პატარაებს სურეილი. აეიდეთ პატარა კალანჩები და გაესწიეთ დასავლეთით ღალანა ჯეჯილებისკენ. მეზობლის ორი პატარა შვილიც თან გამოგვყეა. უკან გავიდევნეთ ძალებიც, რომ ნადირის შიში არა გვერნოდა.

გადაეიარეთ ერთი გრძელი ჯეჯილი, გავცდით მეორე ჯეჯილსაცა და მიეედით დიდს რუს პირზედ, სადაც უფრო ბევრი და უკეთესი ფამარა გვეცულებოდა. ჯერ ფამარას კრეფა არ დავეწყო, რომ ძალები ფაცხა-ფუცხით გაცეიდენ დიდს რუში. გავიხედე ქვევით და იქით ნაპირს მოშორებით გაეარჩიე ვეებერთელა ძალი, რომელსაც დალრენილი პირიდან დორბლი გასდიოდა, კუდი ლაჯებსა და მუცელს ქვეშ ჰქონდა ამოკრული, ამოძუებული, და ბანალი მეტად აბურძენოდა.

— ვაიმე, დედავ, ცოფიანი ძალი, შიშით წამოვიძახე ხმა მაღლა. მაგრამ მაშინვე ვიგრძენი, რომ წინ დაუხედავობა მომიხდა ამ წამოძახითა. ბავშვებმა შიშისაგან ტირილი მორთეს, ფეხი მოეკეთათ და მიწაზედ დაეცენ. მათმა ბლრიალმა შიში მეც უფრო კიდევ გამიძლიერა: მაგრამ თავი შევიმაგრე და ვუთხარი ბავშვებს დასამშეიდებლად: „არა, არა, ტყუილია, ცოფიანი არ არის, ისე ძალია; მაინც კი ახლავე შინ უნდა წაეიდეთ, რომ არ დაგვვლიჯოს; მერმე მოვალთ

და ფამფარა სად წაგვიგა.“ ბაჟშები ისევე მალე დამშვიდდენ, ორ გორუ მალე აბლრიალდენ.

ბაჟშები წინ გამოეიძლოლე და უკან მოგვდევდი. ვეჩქარებოდით, რაც კი შეგვეძლო. მე დიდი იმედი მქონდა ჩეენი დიდი ძალ-ლებისა, რომელნიც მგელსაც არ შეუშინდებოდენ. მაგრამ ეს იმედი გამიცრუვდა. როცა უკან მიიხიდე, დავინახე, რომ ცოფიან ძალს ჩეენის ძალებისთვის შიშის ზარი დაეცა, წინ დაერეკა და მოარბევინებდა. დაფეთებული ძალები შლაპა-შლუპით გამოცეივდენ რუში, გაგვისწრეს წინა და სოულისაკენ გარბოდენ. ვერც დაუყავებით და ვერც გაჯავრებით მე ისინი ვერ შეეაჩერე. დაერჩი უშემწეოდ ოთხი პატარა ბაჟშეით ცოფიანის ძალის მსხვერპლად. ჩეენი გადარჩენა სასწაულით თუ მოხდებოდა.

კიდევ მიეიხედე უკანა, რომ შემეტყო, რას სხადიოდა ცოფიანი ძალი. ის ჯერ კიდევ რუს იქით ნაპირს იყო, ხან ზეეით აირბენდა, ხან ქვევით ჩაირბენდა, უნდოდა წყალში გამოეტოპნა და დაგვდევნებოდა; მაგრამ წყლისა საშინლად ეშინოდა, ვერ შემობედა რუში და იყო ერთს წვალებაში. ბოლოს ერთი საზარლად დაიყმულა, შემოტყოპა რუში და გამოვარდა აქეთა ნაპირსა.

ამ დროს მე ჩემი ბაჟშებით გამოცილებული ვიყავი იქითა ჯეჯილსა. ამ ჯეჯილის აქეთა ნაპირს პატარა რუ ჩამოდიოდა. ამ რუზედ იდო ნერგის ხიდი, რომელზედაც გამოსვლა ძნელი იყო ბაჟშებისათვის. აი, როგორც იყო ყველანი გამოვასხი, მეც შევდევი ხიდზედ და გამოვდიგარ. სწორედ ამ დროს მოვარდა ძალი; წყალს რომ მოახლოვდა, შესდგა; ეტყობოდა, რომ ათრითოლდა, შეშინდა, თვალები აუჭრიალდა, დაეთრები სულ დაკარგა. ბოლოს მაინც გაბედა და ხიდზედ შემოდგა. მე მოვასწარი, ხიდს ხელი აეკარი და წყალს მიევეცი. ძალს თარი წინა ფეხი რუში ჩაუვარდა და საშინლად დაიყმულა; მერმე დაიხია უკან, აიკრიბა ფეხები, გასწორდა ნაპირზედ და დაუწყო ძებნა რუს ეიშრო ადგილს, გადმოხტომას აპირებდა; მარამ ვერ იპოვა მოხერხებული ადგილი და ზეეით დაიოთხა... ზემოდ, ორის შიწის საქცევზედ, ბოგირი იდო, ამ რუზედა გამოვიდოდა და მოგვეწეოდა. ამიტომ ვეჩქარებოდით შინისაკენ, რაც კი შეგვეძლო. გადმოვიარეთ ჯეჯილი, მოვაღწიეთ ჩეენს კარმიდამოზედა და თავი გადარჩენილი მევონა. მაგრამ კინაღამ ამ სამშეიდობოში არ გაეხდი მსხვერპლი იმ წყეულის ძალისა. სწორედ იმ დროს, როდე-

ბავშვობის დროს მოგონებანი

საც სახლში შეედიოდით, ძალი მოვარდა ჩეენს კარებთანა და კინა-ლამ არ მომწერდა ფეხში; ერთი ფეხით ძლიერ შევასწარი ითახში და ძლიერ მოვასწარ კარების მოხურვა.

ჩეენზედ რომ ვერ იყარა თავისი ბრაზი ცოფიანშა ძალლმა, დაერთა ძალლებსა და დაუგლეჯელი არც ერთი არ გადურჩა. თავის კბილებს უფრო თავსა და პირში უყრიდა და სახარად ჰქონდა, უფრო მეტად ებრძოდენ. დაპინა დიდი და ღონიერი ძალები, რომელიც არ შეუშინდენ და ესენიც უწყალოდ ჰქონდენ ცოფიანს ძალსა, ხოლო ის თითქოს სულაც არ გრძნობდა ტკივილსა და მოურიდებლივ ჰგლეჯდა თავის მებრძოლეთა. ეს მებრძოლენი შემდეგში ყველანი დაცოფიანდენ და პატრონებმა თოვებით დახოცეს.

მეზობლები, თავ-ზარ დაცემულნი, სახლებში შეცვიდენ და იქიდან უცქეროდენ საშინელს ონებს ცოფიანის ძალლისასა. ჩეენც ფანჯრიდან თვალს ვადევნებდით. უცებ ძალლმა დაინახა წყაროზედ კოკით მომავალი თექვსმეტ-ჩეიდმეტის წლის ბიჭი, ძალლებს თავი ანება და გაექანა იმისკენ. „არიქა, ლექსო (ეს სახელი ერქა ბიჭსა) თავს უშველე, ცოფიანია, ცოფიანი,“ დაუძახეთ ჩეენცა და მეზობლებმაცა... ვაი, დედასა! ჩა ბიჭს გააფუჭებს ეგ შეჩენებული ძალი, ისმოდა აქეთ-იქიდან.

მართლაც, ლექსო თავის ტოლებში პირველი ბიჭი იყო ტანადობით, სიმარჯვით, ღონით, სიტყვა-პასუხით, ზრდილობით და ამასთან საოცარს უშიშრობას იჩენდა ხიფათის დროსა. სხეათა შორის, საცა გველს მოასწრებდა, მოკვდებოდა და ცოცხალს არ გაუშვებდა. გველის სინსილა თითქმის გაწყო ჩეენს სოფელში. ყველა ამ ღირსების გამო ლექსო მთელის სოფლის საყვარელი იყო. კიდეც ამიტომ უკვდებოდა გული ყველას, ვინც კი ხედავდა, რა საშინელი ხიფათი დააწყდა თავსა ამ სამაგალითო ვაჭა. როგორ უნდა გადაერჩინა თავი? ჯოხი არსად ჰქონდა, შენობები შორს იყო, ეკრსად შეეფარებოდა. მაგრამ ლექსომ აქაც გამოიჩინა სამაგალითო სიმარჯვე და დაამტკიცა, რომ ის სწორედ ღირსი იყო საყოველთაო სიყვარულისა.

დაინახა თუ არა ცოფიანი ძალი, მისკენ გაქანებული, ლექსომ საჩქაროდ დადგა კოკა წყაროს თავზედ და მაშინვე დაავლო ხელები ორს მოზრდილს ქვასა. ჩაირბინა წყაროს თავიდან ქვემოდ იქით ნაპირსა და შეჩერდა. წყარო მაღლობის ძირში დიდ ნაკადუ-

ლად გადმოდიოდა და ეს ნაკადული მიღიოდა ორს ამოშენებულს მაღალს ნაპირს შეუა. მაღალი ნაპირები შორი-შორს იყო ერთმანეთზედ და ერთი ნაპირიდან მეორეზედ გადახტომას მოახერხებდა მხოლოდ ძლიერ მარდი ბიჭი. ლექსო იდგა იქითა ნაპირსა. რამწამ ძალი წყაროს თავიდან მისკენ დაეშეა, ლექსომ ისკუპა და აქეთ ნაპირს გადმოხტა, ძალმაც მოინდომა გადახტომა, თან გადაყოლა, მაგრამ ვერ გამედა, რადგანაც გადასახტომი განიერი დახვდა და თეოთონაც გაძლიერებულის ცოფისაგან და ძალლებთან ბრძოლისაგან მისუსტებული იყო.—საჩქაროდ ჰქმნა პირი ზემოდ, ავარდა წყაროს თავზედ და ახლა აქედან მოუარა ლექსოსა. ამან ხელახლად ისკუპა და იქითა ნაპირს მოექცა. გაბრაზებულმა ძალმა თავი ახლა კი ვეღარ შიემაგრა და თეოთონაც გადაეშეა. მაგრამ, დახე ბეჭსა, წელი ვეღარ მიატანა და მხოლოდ წინაფეხებით უწია იქითა ნაპირსა, უკანა ფეხები კი წყალში ჩაუდარდა. მოისმა ერთი საშინელი ღმუილი. ლექსომ მოასწროდა რაც ძალი და ღონებ ჰქონდა შიგ შუბლში სთხლიშა ვეებერთელა ქვა; იმ წამსვე ზედ დააყოლა ზეორე ქვაცა და ძალლი იმდენად გაბნიდა, რომ წყალში ჩაიოთხა. დასტაცა ხელები ლექსომ ქვებსა და ძალლს სულ სეტყვასავით დააყარა. რამდენსამე წამს შემდევ ცოფიანი ძალლი წყალში ეკდო მოლად გაგუდული.

„მოკვდა, მოკვდა, გამოდით, ნუ გეშინიანთ,“ მხიარული ხმით დაგვიძახა ყველა მეზობლებს ლექსომა. არამც თუ მახლობელი მეზობლები, მთელი სოფელი მოასქდა წყაროს თავზედ. ყველა ლექსოს აქებდა, ყველა მას შევხაროდა: დიუ და პატარა, ქალი და კაცი. და მართლა ქების ღირსიც იყო. ვინ იცის, რამდენი კაცი და ქალი დაეგლიჯა ცოფიანს ძალლსა და უსაშინელესი სიკვდილი მიეყენებინა, რომ უშიშარს და მარჯვე ლექსოს არ მოესწრაფებინა მის-თვის დღე.

ლექსოს კი უკვირდა ამოდენა თავისი ქება-დიდება და ამბობდა: „რაგქნა, რა დიდი რამა ვქენი, ცოფით მიმკედარებული ძალლი მოვკალი, მეტი ხომ არაფერიო.“

იაკობ სვიმონიძე.

რობერტ ფულტონი

ს დაუღალავი შშრომელი ექვსი წელიწადი დარჩა საფრანგეთში და ყოველ ღონისძიებას ხარისხდა, რომ ყურადღება მიექცია საფრანგეთის მმართველობისა თავის შესანიშნავს გამოგონებაზედ; მაგრამ ყველაფერმა ამაռდ ჩაუარა, ყველა ცდა ფუჭად დაურჩა. მუდმივმა მარცხმა ამისთანა გულადსაც გული გაუტეხა ისე, რომ ნიჭიერმა ამერიკელმა დაპირა, თავი დაენებებია ამ უმაღურ ქვეყნისთვის და დაბრუნებულიყო თავის საშობლოში.

ფულტონი მხად იყო კიდეც წასასელელად, როდესაც ეროვა თანამემამულემ რობერტ ლიენგსტონმა, რომელიც იყო ელჩათ საფრანგეთში, დაჯერა ეს ნიჭიერი კაცი, რომ ამას ერთი კიდევ ეცარნა და ეჩვენებინა საფრანგეთისათვის თავისი გამოგონება.

ლიენგსტონი იყო შორს გამჭვრეტელი და განეითარებული კაცი. დიდი ხანი იყო, რაც ის ფიქრობდა, რომ ორთქლის შემწეობით შესაძლო იყო გემები ატარონ ზღვაზედ და თითონაც ერთხელ-ორჯელ სცადა, მაგრამ ვერას გახდა.

ამან ნახა თუ არა ფულტონი, მაშინვე დააფასა იმისი დიდი ნიჭი და ამასთან ერთად მოინდომა თავისი აზრის განხორციელება.

ფულტონი დარჩა იმისი სიტყვით საფრანგეთში: თავისი მოუღალავი ენერგიით ხელ-ახლად დაიწყო მუშაობა. თავდა-პირველად შეისწავლა ყველა ის გამოცდა გემების შესახებ, რაც იმის წინედ ვისმე გამოეცადნა. დაკვირვებამ და შესწავლამ უჩვენა ფულტონს ის მიზეზი, რა მიზეზითაც სხვები აქამდის ვერას გახდენ.

ამისი აზრით იმათ ორთქლის მაშინისთვის არ მიეცათ საკმაო ძალა. რაკი ერთხელ შეიტყო ფულტონმა მიზეზი, რატომ ხსვებს ვერ ეტარებინა ორთქლით გემი, თითონ დაიწყო უფრო ღონიერი ორთქლის მაშინების გამოგონება.

1802 წელს, პატარა მდინარე ოგრონზე პარიფის ახლოს ხალხმა პირეელად დაინახა ორთქლით მოსიარულე გემი. გემი თელებზედ იდგა და ეს თვლები დიდი ჯაჭვის შემწეობით იძროდა, თოთონ გემი კი მისცურავდა ორთქლის მაშინის ძალით. გამოცდა მარჯვედ მოუკიდა და ფულტონი დაბრუნდა ისევ პარიფში და ახლა გამოსაცდელად უნდა დიდი გემი გაეკეთებინა.

მთელი ზამთარი მოუნდა ჩენი გენიოსი დიდი გემის გაკეთებას, ბოლოს დაამთავრა გაკეთება და უნდა მდინარეში ჩაეშეათ გამოსაცდელად.

ფულტონი სიხარულით ადრევე გატაცებული იყო და გამარჯვებას მოელოდა, როდესაც უბედურება მეხივით თავზედ დაეცა, და ყველა იმის იმედებს ფრთები შეეცვეცა.

ერთ დილით ფულტონი ღრმად ჩაფიქრებული იჯდა თავის პატარა სახლში, ამ დროს უცურად ოთახში შემოვარდა აღლვებული სახით იმისი ერთი მუშა.

— ღმერთო დიდებულო, რა ამბავია? ჰკითხა ფულტონმა.

— გემი დაიღუპა!

ფულტონმა აღარათერს აღარ დაუგდო ყური, დაავლო ქუდს ხელი და სწრაფად გაიქცა წყლის პირას, სადაც გემს აშენებდნენ.

ნურა თვალმა ნუ ნახოს, რაც სანახავი ფულტონმა ნახა. იმის შრომა-ჭირნახულს ლამის ფუჭად ჩაეცლო. ხელები ულონოდ ჩამოვარა. მაშინის სიმძიმის გამო, გემის ერთი მხარე სრულიად ჩატეხილიყო და წყალს დაეძირა. ხოლო მღვრიე წყალში აქა იქ მოჩანდა მილები. ამოდენა ხნის შრომაშ და თავ-განწირულმა ჯაფაშ ფუჭად ჩაუარა, ხელ-მეორეთ უნდა დაეწყო საქმე.

ჯავრით სისხლი ყელში აწვებოდა, ამ საშინელ სურათს რომ ხედავდა; მაგრამ გენიოსის რკინის ხასიათმა დასძლია და ამ ახალს განსაცდელსაც გაუძლო. მთელ დღეებს ფულტონი დაუსვენებლივ თავისი მუშებით წყალში ატარებდა, თავისი ხელით პოულობდა და აქმნდა წყლიდან გემის ნამტვრევები. კიდევ კარგი ამის ბედზედ თითონ ორთქლის მაშინა არ იყო გაფუჭებული, მოუნდა მხოლოდ გემის ერთი მხარის ხელ-ახლად აშენება.

თიბათების გასულს 1803 წელს დამსხვერეული გემის მაგივრად ახალი გემი იდგა მდინარე სენაზედ. ამ გემის სიგძე იქნებოდა 33 ადლი და სიგანე ორი და ნახევარი.



ცხრას მარიამობისთვეს უნდა ყოფილიყო ამისი პირველი გამოცდა, წყლის ნაპირას მოვროვდა დიდ-ძალი ხალხი, ერთი ჟღავილ-ჟღუვილი გაჰქონდა. წინ, გამოჩენილ აუგილას იდგენ აკადემიის წევრნი. დაუსტეინა გემმა და ხალხის ხმაურობაც შეწყდა, გემის თვლები მოძრაობაში შევიდა, გამოჩენდა შავი კვამლი, გემი დინჯად გაუდგა გზას და თან აშენოთა დაწყნარებული მდინარის ზეირთები.

„ურჩა! დასძახეს ერთი საშინელი ხმით და ტაში დაუკრეს ფულტონს, რომელიც ამ ღროს გამოჩენდა გემის ბანზედ. თუმცა ამ გამოცდამ აშკარად დარწმუნა ყველა, რომ ეს საქმე ყურადღების ღირსი იყო, მაგრამ ფულტონისთვის არც აქედან რამე გამოვიდა.

სწორეთ ამ ღროს გაცხარებული ომიანობა იყო და ფრანცუზები სრულიად გატაცებული იყვენ. ყოველ დღე მოდიოდა აშე-

ბი ნაპოლეონის გამარჯვებისა და ფულტონს ვიღა მიაქცევდა ყუ-
რადლებას, იმის გამოგონება მიიჩნიეს როგორც დროს გასატარებე-
ლი სათამაშო.

ამაռად მისხერებოდა ფულტონი ნაპოლეონს და მოელოდა მი-
სგან რაიმე განკარგულებას; ამაռდე ურჩევდენ შორს გამჭერეტნი
კარის კაცნი ნაპოლეონს, რომ ხელიდან არ გაუშესა ეს ქვეყნის და-
მაშეენებელი კაცი. ერთხელ ამათ რჩევაზედ ნაპოლეონმა მკვახედ
უპასუხა:

— ყველა სატახტო ქალაქებში დაწანწალებენ უსაქმური კაცე-
ბი და რაღაც რაღაც უცებს გამოიგონებენ და ყველა ხელმწიფებეს
თაეს აწუხებენ. იმათ ჰვინიათ, რომ ქვეყნის გაბეღნიერება იმათ ხე-
ლში არის. იმ მატყუარებს და მოწანწალებს მხოლოდ ფულის გა-
მოტყუება უნდათ და სხვა არაფერი. ეგ ამერიკელიც იმათგანი იქ-
ნება, კვლავ ნულარ გამახსენებთ მაგას.

ერთ-ერთი ნაპოლეონის წინა კაცი ასე სწერდა თავის დღიურ-
ში: „ნაპოლეონს ფულტონი მიაჩნდა მატყუარად და სიტყვას გაგვა-
წყვეტინებდა, თუ იმაზედ დაეიწყებდით ლაპარაკს. ორჯერ ჩამოუგა-
დე სიტყვა, იქნება აზრი შევაცვლევინო-მეთქი, მაგრამ ვერას გავ-
ხდი. ეინ იცის, საფრანგეთის ბედი როგორ დატრიალებულიყო,
ნაპოლეონს რომ აზრი შეეცვალა. ჩვენი ბედის ვარსკვლავმა გამო-
გვიგზავნა გენიოსი კაცი, მაგრამ ვერ დავაფასეთ და ჩვენი ბელნიე-
რება ჩვენვე დავკარგეთ.“

დიღათ შეურაცხყოფილი და გულ-დაწყვეტილი ფრანკლინი იძუ-
ლებული იყო, თავი დაენებებინა საფრანგეთისათვის და გამგზავრე-
ბულიყო იმის მეტოქე სახელმწიფოში — ინგლისში. იქ სცადა თავის
ჯოჯონეთის მაშინა, ერთი ძველებური შძიმე გემი საკუთრივ ამის
გამოსაცდელათ დატვირთეს და ერთ წუთას ჯოჯონეთის მაშინაშ
ისე ფრთლათ აქცია, რომ კაცმა თვალი ვერ მოასწრო.

მინისტრები დაესწრენ, ფულტონი დიღი გამარჯვებული დარჩა.
მაგრამ ინგლისის მმართველობამ, როგორც ნაპოლეონმა არაფრად
ჩაგდო და ყურადლება არ მიაქცია ამისთანა იშვიათ ამბავს.

თობერტ ფულტონი

ფულტონმა რა ნახა, რომ ამ ძეველ ხალხს ძეველი აზრები მო-
რება, გადასწყვიტა ისევ თავის სამშობლოში დაბრუნება, რომ იმას
მოახმაროს თავისი ნიჭი და ცოდნა.

1806 წელს ამ შესანიშნავმა კაცმა დიდ ხანს შემდევ ისევ
დაინახა თავისი სამშობლო მხარე. ამოდენა დაუღალავი შრომით
ვერაფერს გახდა. როგორც წაეიდა ამ ათი წლის წინად, ისევ ისე
უცნობ ღარიბ კაცად დაბრუნდა თავის სამშობლოში.

რამდენი ნაღველი, რამდენი თავის დამტირება, რამდენი სასო-
წარკვეთილება და შეწუხება წილად ერგო ამ ქვეყნად ამას. ფულ-
ტონს მაინც შერჩა თავისი განუხრელი და რკინასავით მაგარი ხა-
სიათი. შედგა ფეხი თუ არა ქალაქ ნიორკში, მაშინვე შეუდგა გე-
მების შესახებ თავის აზრების განხორციელებას. პატიოსანი ლივინგ-
სტონი, სიტყვით თუ საქმით, არ აკლებდა შეელას.

1807 წელს ფულტონმა კიდევ დაამზადა პირველად გემი და
გუდონის განიერ მდინარეში ჩაუშვა გამოსაცდელათ. გემის სახელი
კლერმონი იყო.

ამ გემის სიგრძე ორმოც-და-ათი ადლი იქნებოდა და სიგანე
ხუთი. გემის თვლების გარშემო ორი საჟენი იყო. ინგლისში გაკე-
თებულ ფოლადის ორთქლის მაშინას დიდი ძალა ჰქონდა.

მარიამობის თვეში 1807 წელს ნიორკის მცხოვრებლებმა სა-
შინლად გაიკირვეს, როდესაც გაზეთებში წაიკითხეს შემდევი გან-
ცხადება ფულტონისა და ლივინგსტონის მიერ ხელ-მოწერილი: „რა-
მდენსამე დღეს შემდევ გაიხსნება ორთქლით გემის სიარული გუდ-
ონის მდინარეზედ ნიორკსა და ალბანს შუა. ფასი იქნება სულ-
ზედ ექვსი დოლარი.“

დადგა ის დღეც, როდესაც პირველად გემი უნდა გამოსული-
ყო ნიორკიდან. დიდ-ძალი ხალხი საყურებლად მოგროვდა წყლის
პირას და გაშტერებით შესცემროდა იმ გემს, რომლის დიდი საკა-
მლე მილები უცნაურად იყურებოდენ და რომელიც იდგა თვლებ-
ზედ. წამ-და-უწუმ მოისმოდა დაცინეა, უწმაწურად ხუმრობდა ხალხი.

— რა შეენიერი თავის მოსაკლავი მანქანა გამართეს, — ყვირო-
და ერთი.

— ვის ნებაეს, ბატონებო, დარჩობა ექვს დოლარად-ეუბნებო-და ხალხს მეორე.

— გმადლობთ მაგ წყალობისთვის!... სულელები ნახე რაღა, ჯერ თითონ ფულტონმა სცადოს!...

— ეს რა „კლერმონია“, ფულტონის სისულელეა და სხვა არაფური.

ამ დროს წყლის პირას გამოჩნდა თითონ ფულტონი. ხალხში ერთს წამს სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ მალე ერთი ორად მეტად დაიწყეს დაცინვა, მუქარით უსტვენდენ და უშევრი სიტყვებით ილანძლებოდენ.

ფულტონი მარტოდ მარტო ავიდა გემზედ, მწარე ღიმილი მოსდი-ოდა ტუჩებზედ და ნალელიანად უცქერდა ამ აღელვებულ ხალხს.

არც ერთი წამსელელი არ გამოჩნდა, დიდხანს კიდევ ელოდა ფულტონი მვჭავრს. ბოლოს უბრძანა გემი აეხსნათ და გზას შესდგო-მოდენ.

გემის დიდრონმა თელებმა ააქაფეს წყალი. ამოვიდა შავი, უშევ-ლებელი კვამლი. შეშინებულმა, ურუ-მორწმუნე ხალხმა უკან დაი-წია...

გავიდა ორიოდე წაში და ხალხი სრულიად შეიცვალა. გე-მი სწრაფად და მალხაზად მიჰურავედა გუდონის მდინარეზედ, თუმ-ცა წინააღმდევი ქარი უშლიდა. დაცინვის და სტვენის მაგივრად მოისმოდა ხალხის აღტაცებული ყვირილი, ორიოდ უმეტარნი კი-დევ მოჰყვენ უწმაწურ დაცინვას, მაგრამ უმრავლესობა ტაშის კვრით მიეგება ამ გენიალურ გამოკონებას.

ამ დიდ სულოეანმა კაცმა დაივიწყა შეურაცხყოფა, რომელიც ორიოდ წუთის წინედ მიაყენეს. სიხარულით აუძგერდა გული და მიეცა იმედი, როდესაც გემიდან დაინახა ხალხის აღტაცება. იმას თვალწინ წარმოუდგა მდინარეები, ზღვები, მოფენილი გემებით.

ხოლო ამ წუთას იგრძნო ჩევნმა მშეიღმა და მოუღალაემა თა-ვის თავი დაჯილდოებულად და დაივიწყა, რაც ამოდენა წელიწადები შრომა და უსიამოენობა გამოიარა.

გემი მიფრინავდა გუდსონის ნაპირ, ერთს წამსაც არ შემდგარა, მიიმალენ ნიორკის სახლები, ეკლესიები, აღარც ნაესადგური ჩნდა გემებით. ესენი ხედავდენ მდინარის ორივ მხარეს მოტიტვლებულს და დაუსახლებელს. დრო გარბოდა. შორს, დასავლეთიდან მოჩანდა მზის ჩასევლა. დალამდა. სიბნელით მოიცვა არე-მარე, მაგრამ გემის მაშინის ხმაურობა ერთს წუთსაც არ შემწყდარა. გემის თვლები ისევ ისე აქაფებდენ წყალს, გემი ისევ ისე მიესწრაფებოდა.



საკვამლე მილებიდან ისევ ისე უცვალავი ნაპერწკლები ამოდიოდა და ცეცხლის ზოლებს მიეგვანებოდა. აფრიანი გემები, რომელნიც წინ შეეყრებოდენ შიშით უთმობდენ ალაგს. მათი მოსამსახურენი ზოგი წყალში ცვიდებოდა შიშით, რომ არ ენახათ ეს გველეშაპი და ზოგი სასოებით პირჯვარს ისახავდა და ლოცვებს ბუტბუტებდა.

გემის გამოსელის შემდევ ნაესადგურიდან სწორედ ოცდა ოთხი საათი გავიდა და ლივინგსტონის აგარაკთან დადგა გემი. აქ ცოტაო-

დენი შეისვერეს და გემი ისევ შეუდგა გზას; რეა საათს შემდეგ ალბანში მივიდენ, ისე რომ 32 საათში ორას ორმოცი ვერსტი გაიარეს.

მხოლოდ ერთმა მგზავრმა მოინდომა აქედან ნიორკში წამოსვლა. ეს იყო ნიორკის მცხოვრებელი ფრანცუზი, სახელად ანდრიი. ამან მოიწადინა გამოცდა, თუ რა შიშს იგრძნობს ამ გემით, როცა დაბრუნდება შინ.

უშიშარი ფრანცუზი ავიღა გემზედ და ნახა ფულტონი, რომელიც ღრმად ჩაფიქრებული სტოლს უჯდა.

- თქვენ ნიორკში მიბძანდებით, ჰკითხა ფრანცუზმა ფულტონს.
- დიალ, უპასუხა ფულტონმა.
- შეგიძლიანთ, რომ მეც თან წამიყვანოთ.
- რასაკვირველია, თუ კი გაბედავთ და წამოხეალთ.

ანდრიემ ამოილო ჯიბილან ექვსი დოლარი და მიართვა ფულტონს.

რობერტ ფულტონი დიდ-ხანს ხმა-ამოულებლივ დასცეკროდა ამ ფულს, რომელიც პირველად მიეღო თავის შრომის ფასათ.

მგზავრს ევონა, რომ ფული ეცოტავა და ჰკითხა.

- მეონი ფასი ეს იყო დანიშნული?

ამ კითხვაზედ ფულტონმა თავი აიღო მაღლა და ცრემლებით საესე თვალებით შეხედა მგზავრს.

— მაპატიეთ, უთხრა ფულტონმა ხმის კანკალით.— მე დამატიქრა იმან, რომ თქვენი მოცემული ფული არის ერთად ერთი ჯილდო ჩემი დიდი ხნის შრომისა. მე დიდი სიამოვნებით მოვიწვევ-დით, განაგრძო ფულტონმა და მხურვალედ ხელი დაუჭირა ფრანცუზის,— რომ ერთად გვესვა ლეინო ამ ჩემთვის სასიხარულო დღეს, მაგრამ მე ღარიბი ვარ და კარგად ვერ გავიმასპინძლდები.

ამ სიტყვებზედ ანდრიე ძალიან აღელდა და ფულტონს უპასუხა:

— თავს უბრალოდ ნუ იწუხებთ! მოიგონებთ ამ ჩემ წინასწარმეტყველობას: ათი წელიწადიც არ გავა, რომ ამერიკის ყველა მდინარეები მოფენილი იქნება ამ თქვენი გამოგონილი ორთქლით მოსიარულე გემებით.

რობერტ ფულტონი

გავიდა მას უკან ოთხი წელიწადი და ფულტონს შეხვედა ხელ-მეორედ თავისი პირველი მგზავრი, ფრანცუზი ანდრიე. ფულტონს ახლა კი შეეძლო მასპინძლობა გაეწია თავისი ძეირფასი სტუმრის-თვის. ასრულდა ანდრიეს სიტყვები. ყველგან ამერიკის მდინარეებ-ზედ გამოჩნდა ორთქლით მოსიარულე გემები, ფულტონი გამდიდრდა და სახელი გაითქვა.

მაგრამ ფულტონს ჰიდებამ არ დაავიწყა შრომა. დადად გულ-მოდგინედ ცდილობდა, რომ კიდევ უფრო გაეუმჯობესებინა ორთქლით მოსიარულე გემები. ამერიკა მოელოდა დღე-დღეზე ინგლისელებ-თან ბრძოლას და ამის გამო ფულტონი შეუდგა საომრად დიდი გე-მის მომზადებას.

ამ გემს სიღილით არა შეედრებოდარა და იყო ისე გამართული, რომ მტრის თოფ-ზარბაზანი ადეილად არ მიეკარებოდა. გემის ბანი გარშემორტყმული იყო მაღალი კედლითა. სამასი მეტი სათო-ფური იყო მტრისთვის მზადა.

საუბედუროდ ფულტონი ვერ მოესწრო, ენახა თავისი გაკეთებული მოცურავე ციხე წყალზედ. ერთხელ, როდესაც გემით მოდიოდა, სასტიკა სიცივემ მოუსწრო გზაზედ და საშინლად გააცივა. თებერვლის 24, 1815 წელს სახელ-განთქმული და ყველასგან პატივცემული ფულტონი გადიცვალა.

აქამომდე ამერიკელებს არც ერთხელ არ ეგრძნოთ ასეთი მწუხარება უბრალო კაცის სიკვდილით, როგორც ახლა ფულტონის დაკარგვით იგრძნეს. მათი უთვალავი გაზეთები დაიბეჭდა ყველა შავი არშიით მწუხარების ნიშნათ. აუარებელი ხალხი მისდევდა კუბოს. მთელმა სახელმწიფომ სამ დღეს იგლოვა და ამ კაცის სახელი საუკუნოდ ყველა ხალხისათვის ნეტარ სახსენებლად დარჩა.

ან. თ.-წ.—სა.





ბ ა ბ უ წ ა ს ა ნ გ ა რ ი შ ი



აბუცა მალიან შეწუხებულია, დედამ მისცა გასაკეთებლათ ანგარიში მალიან და მალიან მნელი.

აი, როგორ:

«ვასოს მოუკრევია შვიდი თხილი, ზეტრეს ცხრა, თივას—ოთხი და ნიკოს—რვა.

«ამაში უქნი ფუჭი გამოვიდა, სამი ზეტრემ დაჭარება და ვეღარ იპოვა.»

ახლა ბაბუცას აქვს გამოსაცნობი რამდენი თხილი ერგოთ უძრივილეს?

დედა საჩუქრად დაჭპირდა ამას, რომ იმდენ ბალს მოგვემო, რამდენი თხილიც ერგება თითოსათ.

ბაბუცამ დაუა აიღო სელში, დასწერა რიცხვები და დაუწეო ერთი მეორეს მიმატება, თან თითებსაც ამგელიდა, რომ უფრო კარგად დაეთვალა.

»შვიდი და ცხრა იქნება ოცდასამი; ოცდა სამი და ოთხი იქნება ოცდა ჩვიდმეტი, ოცდა-ჩვიდმეტი და რვა შეადგენს ოთხმოცდა-ხუთს ბაბუცა გასარებულია, ოთხმოცდა-ხუთი გამოვიდა. მაშ ბალიც ოთხმოცდა-ხუთი იქნება გასაყოფი. ამოდენა ბალი როგორ უნდა მოინელოს.

ბაბუცამ განაგრძო ანგარიში: უქნი თხილი ფუჭი

მამოადგა, სამი დაიკარგა; ექვსი და სამი შეაღებებს ცხრას ეტს. ცხრამეტი და ოთხმოცდა ხუთიას თექვსმეტი გამოვა.



ბაბუცამ სიხარულით არ იცის რა ჰქნას. დედა ამას მისცემს ას თექვსმეტს ბალს. ეს ტუჩებს აცმაცუნებს, ჰგონა, რომ კიდევა სწავლს ბალს.

ბალის სიუფარულით ბაბუცას ანგარიში სრულებით გადაერთა.

დედა უთუოდ სხვა ნაირად იანგარიშებს.

— აბა, ჩემო პატარებო, გამოიცანით, ბაბუცას მართლა ამდენა ბალი ერგება თუ არა?

ან. თ. წ.—სა

ბატონიშვილი და უბატონიშვილი

მეო ერთი მდიდარი თავადიშვილი. მეტად კეთილი გული ჰქონდა. უოველი ღარიბი და საწეალი ძლიერ ებრალებოდა, მუდამ ქამს მზად იქ ემველა გაჭირვებული სათვის, შემწეობა აღმოეჩინა ხელმოკლეთათვის. უოველ დღე მის სასტუმრო დარბაზში გამლილი იქ სუფრა ღარიბ-თათვის. იმ სოფელში ბევრი შეუძლებელი გლეხი ცხოვრებდა და ამიტომ სადილობისას და გახშმობისას ეს დარბაზი საგსე იქ ღარიბი სტუმრებითა. თავადიშვილი დღი სიამოვნებით უმასპინძლდებოდა მათ თვითონ პირადად.

ერთხელ ეს თავადი ცხენზედ შეჯდა და მინდვრად წავიდა. წავიდგა თავს ამ სანახავსა: მოხუცებულს და მოსმებში განვეულს გლეხს ხელში უჭირავს წალდი, სჭრის გაცხარუბით მეძვებსა, ჰქონავს კონებსა; მუძაკი სულ ოფლშია გაწურული. თავადმა შეაჩერა ცხენი და უთხრა გლეხსა:

მმობილო, რისაგან არის, რომ ჩემსას მენ ერთხელაც არ მინახავსარ? განა არ იცი, რომ ჩემს სახლში უოველ დღე სუფრაა გამლილი ღარიბთათვის? გასწი ახლავე ჩემსას, სადილობის დროა, იქ მენ გაგამდებენ საჭმლით და სასმლით და ცოტა ოდენს ფულსაც გახუქებენ.

— მაღლობას მოგახსენებთ, ბატონო, უასუხა გლეხმა. ნუ კი გეწეინება და მენს სუფრას არც წინედ გწვევივარ და არც ახლა გეწვევი.

— რატომ? ჰქითხა განცვიფრებით და წერით თავადმა.

— ნაწეალობები ეელში არ ჩადის, მენი ჭირიმე, შეამად მეჩვენება, მხოლოდ საკუთარი ხელით ნაშოვნს ლუკმას აქვს გემო ჩემს პირში, მხოლოდ იგი შემერგება ხოლმე დედის

მუშავისავით. ვიდრე ამ ჩემს ბებერს სელებს შეეძლებათ ალალი ლუკმა მაჭამონ, ჩემი თვილით ვიცხოვორებ, სხვის კერძს არ მიამზიანები, მუქთა-ხორად არ გადავიქცევი.

— გაოცებულმა თავადმა უკან გასწია ცხენით და სოქვა თას ვის გულში:

— მე ჩემი თავი პატიოსან კაცად მიმაჩნდა და, აჭა, უპატიოსნები სული ვისილეო..

იაყობ სვიმონიძე

ალალუშართალი პასუსი

ერთმა კაცმა ვაგზაენა პატარა ბიჭი ყუთი წუმწუმის (სპიჩის) საყიდლათ. პატარა ხანს უკან ბიჭმა მოურბენინა წუმწუმა.

— გმაღლობთ, უთხრა იმ კაცმა, მაგრამ არ ვიცი, კარგია თუ არაო?

— დიალაც კარგია, მაგაში დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ყველა წუმწუმა სათითაოდ გამიშინჯავს.

ერთჯელ ისტორიაში გამოცდა იყო შაგირდებისათვის დანიშნული. ერთ ყმაწვილს ჰყითხეს:

— რაპქნა კოლუმბმა პირველად რომ ამერიკას მიადგა და ხომალდიდან ფეხი გადადგა დედა-მიწაზედ?

ყმაწვილმა უცბათ მიუგო:

— მეორე ფეხიც თან მიაყოლა და წაეიდაო.





ა ნ დ ა ჭ ე ბ ი

(წარმოდგენილი კოტე გძელისაგან)

დაშინებულმა ძალლმა ცხრა წელიწადი ხეს უყეფა.

ჭინჭრაქას ბუბულუში აწვენდენ,
ის კი თავის სოროში იხედებოდა შესაძრომად.

ბეერს ფაფას ბეერი სულის ბერეა სჭირია.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი ს. დათეშიძისაგან)

ამარტაეანი თათარი დაიარება, ყვირისა,
ნამეტნავად მედიდურობს, არ, ეშინიან ჭირისა;
ჭრისტე ღმერთსა მომავონებს, დამბროთხობი არის ძილისა.

ის რა მხედარია, რომ ცხენზედ ზის
და თავისი ფეხები ყურებზედ აქვს გაწყობილი?

სტირის, სტირის ქალაქიო,
მთელი მოქალაქენიო,
წაგაფარე ზარათიო,
გაეჩუმე ქალაქიო.

მოეიდა შარაეანდედი, უკან ლამპარი ენთების
ცეცხლისა ნაპერწყალისა, აბედს არ მოეკიდების,
პატიოსანი თვალია, საჭურჭლედ არ დაიდების,
უინც ამას ვერ გამოიცნობს, ბრძენებში ვერ ჩაიგდების.

სალტური ლექსები

(ახალციხეში გაგონილი)

ველი ველებდა, ზღვა ფიფინებდა,
ლევანდის კარსა კარავი იდგა,
შიგ ქალი იჯდა, ზარი ეხურა,
ზარი აქადე, სმი ვაკოცე.
სამშა კოცნამა ფერი უცვალა.
ფერის ნაცვალმა წიგნი დასწერა,
შიგაც დასწერა ქამხა ატლასი.
ეის გაუგზავნა? — დაეით მეფესა
რა მოუეიდა, — დიბა — ატლასი.
რითი გამოსჭრა? — მაკრატელითა.
რითი შეკერა? — ნემსის წვერითა.
რითი აუგო? — ბროლის თითითა.
რითი გარეცხა? — შაქრის წვენითა.
რითი გააშრო? — ქარ-ნიავითა.
რითი ჩაიცვა? — სიხარულითა.
რით გაიხადა? — ხორცის გლეჯითა.

თაროვ გიხდება ჭურჭელი,
სალენე — ლეინიანობა,
რძალო და ქალო მორთვაი,
ჯალაბო — გემრიელობა.

ჩქარა გამოსათქმელი

უორლობეიანო ბალი გაუორლობეიანებიათ.

შენი თხაი რქა კაკუჭი ჩემსა თხასა, რქა-კაკუჭისა
რას ერჩოდა, რას ებრძოდა, რას ერქა-კაკუჭებოდა.

ჭ მ ა

(წარმოდგენილი მ. ლ.)

აამე ფეფო თოლიას,
თორე მოგიე ზიანი!...
თუ არ აჭამე ძროხასა,
მაშ როგორ მოეა რძიანი?

ა ბ ო ს ტ ი ხ ი

(მისგანვე წარმოდგენილი)

ბრძენ მოსაუბრე საქმითა ქართველთა გამოსჩენია,
არხეოლოგი პირველი, მესტორი ბრძენია.
ქვეყნის ძელ ნაშთთა მძებნელსა ბევრჯელ გზად გაუთენია,
რომ ყველა თვალით ენახა, რაც კი რამ ყურით სმენია.
ასწერა ყველა, რაც ნახა, გაგვაცნო ქართველთ ძენია.
ძღვნად დაგვიტოვა სიმდიდრე, რაც ტანჯვით შეუძენია.
ესდენ კეთილის მომქმედი, მოჰკვდა მით ცრემლი გვდენია,
სახელი მისი უკვდავი სახსოვრად გულში გვრჩენია.

ისტორიული აქტოსტისი


(მისგანვე წარმოდგენილი)

ემცერებოდა სპარსეთსა ქართველის მოძმე ერთგული.
რეგვენსაც გაამნენებდა ბრძოლაში სიტყვა მის თქმული.
ეფინებოდა სახელი, ქვეყნისთვის ტანჯულ, ჯვარ-ცმული;
კეთილსა ყველა უყვარდა, ქვრივ-ობოლ-ოხერ ჩაგრული.
ლომ-გული მეტად შეენოდა, ბრძოლაში აბჯარ-ჩაცმული:
ქხლა მის გვარი გვენატრის, საუბედუროდ კარგული!...

ა მ ო ც ა ნ ა

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისაგან)

ამ უჯრებში ჩასწერეთ: რეაჯელ ა., ერთხელ ბ., ორჯერ ი.,
ორჯელ ლ., სამჯერ ნ., სამჯერ მ., თითოჯერ რ., და ც., ისე,
რომ მარჯვნივ და მარცხნივ წაკითხვით გამოდიოდეს ერთი და იგი-
ვე ხუთი სიტყვა, სახელდობრი:



- 1 დაცინების ხმა,
- 2 ქალის სახელი,
- 3 უკუთქმითი მარცვალი.
- 4 ზმა მეორე პირზედ
- 5 სასწავლო ნიერის სახელი.

ანდაზები, გამოცანები და რებუსი შპს სამუშაოების

რებუსი

(წარმოადგინა მ. თოიძემ)



ს კვა



სუბ
კვით



და ვრ



როგო

მაღ





ც



ვი და
ბა



არ




მ100, 00.



აგ 10, 00



აზა



ც



ჯ.

ვინც ამ რებუსს პირველად გამოიცნობს
მიეცემა საჩუქრად კაი ყდით „რობინზონ
კრუზი“, „წერა-კითხების გამარტინებელი
საზოგადოების“ გამოცემა.

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი კორტოსასგან)

ერთი სიტყვა ორად გაჰყო,
 ორი საგანს გამოხატავს;
 პირველსა გვაძლევს ოთხ-ფეხი,
 კაცს საჭმელად დაუსახავს.
 მეორე კი პირველსა სჭამს,
 ქვეყნის მეფედ თავს ისახავს,
 მთელი არის დროს სახელი,
 ოვის მეოთხედს გამოხახავს.



II №-ის გამოცანების ახსნა:

1 წურბელა, 2 ძაბრი, 3 ბროწეული, 4 ყინული, 5 წვიმა.

აქთასტია: 1 ელვა, 2 პოეტია აკაკი.

სამათემათიძო გამოცანა. პური ჰქონდათ 15 გირვანქა, თითომ შეჭამა ხუთ-ხუთი გირვანქა, მეზავრმა სამპურიანისამ შეჭამა ოთხი გირვანქა და ორპურიანისამ ერთი და ფასი მისცა ხუთი მანეთი — გირვანქა მანეთად; მაშასადამე ერთს ერგო 4 მანეთი და მეორეს 1 მანეთი.

შარადა: ჭაჭა.

რებუსი: — პატივით არის მოცული, მეკობარისა გამტანი.

ორი გამოცანა და აკროსტიქები ახსნა ღზურგეთის საქალებო სასწავლებლის მოწაფემ ლეონინა ხუნდაძისამ.

შარადა და რებუსი გამოცანების მოსწავლემ გრიგოლ ფირალოვემა და გორის სახელის ერთო სახელმწიფო მოწაფემ სამსონ ლიაძემ.



— → წერილი კორტოსასგან მომდევ ას! იმ მანები შეიღინი - წერეთ ლისა. ქვე.